ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს
№67 (1577)
5–8 ივლისი, 1997 წელი

## თემურ ქორიძე: მიშველაძე ცრუობს!

5





## რევაზ მიშველაძე: მე?!.

## კვირაიამ პრეზიდენტისაგან ახალი წინადადება მიიღო

ინგა დადიანი

2

## აქა ამბავი სენაკის ჩაბარებისა, ძველი ჩიკაგოს დაწვისა და კენედის მკვლელობისა...

2

## მწვანეებმა ნათაძე 5 წლით არ დაიჭირეს, მათი ამ „ჰუმანური გადაწყვეტილების“ გამო ნათაძემ კორესპონდენტს განუცხადა...

2

## ილია თავებს დაგვიჩეჩქავდა სულ ყველას, როგორც ერის მოღალატეებს

3

# აქა ამბავი სენაკის ჩაბარებისა, ძველი ჩიკაგოს დაწვისა და კენედის მკვლელობისა...

გაზეთ „ასავალ-დასავალში" გამოქვეყნდა რიგი ბრალდებანი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის ბატონ მიხეილ ოსაძის მისამართით.

„საქართველო" დაუკავშირდა ბატონ მიხეილს და სთხოვა განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც რესპონდენტმა განაცხადა: ბრალდებები, რომლებიც უშიშროების მინისტრისაგან იღებენ სათავეს, იმდენად აბსურდულია, რომ სერიოზული საქმით დაკავებული კაცისათვის მასზედ რეაგირება დროის ფუჭ ხარჯვად მეჩვენება, თავი რომ დავანებოთ მათ ანეგდოტურ ხასიათს. თუმცა, ჩვენი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ბატონი მიხეილი დაგვეთანხმდა, რომ სენაკის ჩაბარების, ძველი ჩიკაგოს დაწვისა და კენედის მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ და სხვა ნებისმიერ კითხვებზე მზად არის ამომწურავი პასუხები გასცეს ჟურნალისტებს პირველსავე თავისუფალ დღეს, რომლის შესახებაც ყველა დაინტერესებული პირი საინფორმაციო საშუალებებით წინასწარ იქნება გაფრთხილებული.

# მწვანეებმა ნათაძე 5 წლით არ დაიჭირეს, მათი ამ „ჰუმანური გადაწყვეტილების" გამო ნათაძემ კორესპონდენტს განუცხადა...

*– ბატონო ნოდარ, მკითხველს მოეხსენება, რომ თქვენ საჯაროდ განაცხადეთ, წინა პარლამენტში „მწვანეთა" ფრაქცია რუსეთის ინტერესთა სამსახურზე იყო ორიენტირებული. „მწვანეთა" პარტიამ ეს ცილისწამებად მიიჩნია და აქეთ გაგიმასპინძლდათ: ნოდარ ნათაძე 70 წლისაა და რაკი სახელმწიფო დანაშაულში ცილისწამება 5 წლის პატიმრობით ისჯება, იგი გვეცოდება და სასამართლოში აღარ ვუჩივლებთო.*

– კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ ამ ცილისწამების წინააღმდეგ! მე დაბადებული ვარ 1929 წელს და, ამდენად, სამოცდაათს კარგა დიდი დრო მიკლია! არ არის გამორიცხული ეს იუმორი ვერ გაიგონ მათ. რაც შეეხება მწვანეებისა და სხვა მოქავშირეების და ყოფილი კომკავშირელების აღიარებულ ლიდერს, ბატონ ე.შევარდნაძეს, იგი 70-ს გადაცილებულია და მისი ყოფილი მარჯვენა ხელიც, ამჟამად კი პატიმარი ჯაბა იოსელიანი, 70-ზე მეტისა ბრძანდება. იბადება კითხვა, ხომ არ არის ეს თეითნებური ასაკობრივი ზღვარი შეთხზული იმისათვის, რომ საკუთარ ლიდერსაც ანალოგიური მოტივით აიცილონ პასუხისმგებლობა სამომავლოდ!

*– რა კომენტარს გაუკეთებდით მწვანეთა პრესკონფერენციას?*

– მოგახსენებთ, ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ერთი ამბავი ამომიტივტივდა მეხსიერებაში. ერთ კაცს, რომელიც იმ დროს ჩემზე 20 კგ-ით მძიმე იყო და დღესაც არის, მეორე კაცმა, ჩემზე ათი კგ-ით მსუბუქმა



უნივერსიტეტის ბაღში დედ-მამა უხსენა და კბილების ჩამოლეწას შეჰპირდა. ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტები. ის მძიმეწონიანი შეტრიალდა და სანამ I კორპუსის საპროფესოროს არ შეეფარა, უკან არ მოუხედავს. შთამბეჭდავი ეპიზოდი იყო და, ბუნებრივია, გახმაურდა. ერთმა ასულმა, რომელიც იმ მძიმეწონიანის თაყვანისმცემლად იყო ცნობილი, თქვა საზოგადოებაში: რა კეთილშობილი კაციაო! მისმა მეგობარმა გოგონამ უპასუხა: „მზია, ძვირფასო, მაგ საქციელისთვის ტრადიციულად სხვა ახსნა არსებობსო".

*– ჩვენ პოლიტიკურ პასუხს ველოდით.*

– მოგახსენებთ ჩემს აზრს პოლიტიკაზეც. დღეს საქართველოს უცხო სამსახურში მყოფი ხროვა მართავს. მისი მოქმედების მეთოდია საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევა უცხო ქვეყნისადმი მისი დაქვემდებარების მიზნით. სანამ იგი საქართველოში პარპაშებს, ჩვენ, „ინტერნაციონალის" ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშიერი მონების" მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. დღეს ღიად ძარცვავენ საქართველოს წელიწადში 300 მილიონი და მეტი დოლარით (დღეს ტემპი ასეთია). მსოფლიო ბანკებში საქართველოდან გატაცებული 10 მილიარდ დოლარზე მეტი დევს. სანამ ხროვა ბატონობს, ეს პროცესი არ შეჩერდება და ამ ნაძარცვის ერთი ცენტიც არ დაბრუნდება. მეორე მსოფლიო ომის დროს არსებობდა პლაკატი „ჯარისკაცო, მოკალი ფაშისტი, თორემ ის მოგკლავს შენ!". დღევანდელი პლაკატია: „ქართველო, გაანადგურე ხროვა, თორემ ის გაგანადგურებს შენ!". განადგურების ერთადერთი მისაღები მეთოდია არჩევნებში გამარჯვება. მაგრამ ცხადია, რომ ჩვენს მუშაობაში არჩევნებით ვერ შემოვიფარგლებით. პარალელურად უნდა მოვამზადოთ საკუთარი ეროვნულად ერთგული კადრი სახელმწიფოებრივად საჭირო ყველა სამოქალაქო, სათავდაცვო და ადმინისტრაციული ფუნქციის შესრულებისათვის. ამის პოტენცია ერში *არის* არის და ორგანიზებულიც იქნება მოკლე ხანში, რადგან *ეროვნული ძალების გაერთიანებას დღეს რეალური პერსპექტივა აქვს.*

**ესაუბრა ტრისტან ბერიანიძე**

# კვირაიამ პრეზიდენტისაგან ახალი წინადადება მიიღო

„სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, შოთა კვირაიას ბედი გადაწყვეტილია და პრეზიდენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება", – აცნობა პრაიმ-ნიუსს ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. მისი თქმით, „პრეზიდენტმა უკვე შესთავაზა კვირაიას ახალი თანამდებობა და ეს უკანასკნელი დათანხმდა".

წყარომ, რომელმაც უარი განაცხადა დაესახელებინა კვირაიას მომავალი თანამდებობა, პრაიმ-ნიუსს აცნობა, რომ შევარდნაძე აპირებს შეცვალოს სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურა და ამისთვის გამოიყენოს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ თავად შოთა კვირაიას მიერ შემუშავებული გეგმა.

როგორც პრაიმ-ნიუსს კვირაიას პირადმა ექიმმა, ანზორ მელიამ აცნობა, კვირაია, რომელიც ორი კვირის წინ გულის შეტევით მოათავსეს კერძო კლინიკაში, იქ კვირის ბოლომდე დარჩება.

სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, სწორედ კვირის ბოლოსთვის წარუდგენს პროკურატურა ედუარდ შევარდნაძეს დასკვნას, უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიერ ჟურნალისტების ტელეფონების უკანონო მოსმენასთან დაკავშირებით. წყაროს აზრით, ეს „კიდევ ერთი ბიძგი იქნება საქართველოს უშიშროების სამინისტროს ირგვლივ მოვლენების განსავითარებლად".

„პარლამენტს რომ კვირაიას იმპიჩმენტი მოეთხოვა, პრეზიდენტი მინისტრის გადაყენებას ხელს მოაწერდა", – ამბობს წყარო, თუმცა „დახურული სხდომის შედეგად პარლამენტის მიერ მიღებულმა უნიათო დადგენილებამ და მიმართვამ პრეზიდენტისადმი, გაერკვიოს უშიშროების სამინისტროს ირგვლივ შექმნილ ვითარებაში, მოვლენების სხვა გზით განვითარება გამოიწვია. თუმცა, ედუარდ შევარდნაძეს ესეც ჰქონდა გათვალისწინებული".

პრაიმ-ნიუსის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, რამდენიმე დღის წინ შოთა კვირაია საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა და შეეცადა მაგიდაზე დაედო მისთვის განცხადება, ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამსახურიდან წასვლის შესახებ. მაშინ შევარდნაძემ ურჩია „არ დაეჩქარებინა მოვლენები პროკურატურის დასკვნის წარმოდგენამდე".

შოთა კვირაიას მიერ შემუშავებული სახელმწიფო უშიშროების ახალი სისტემის გეგმა ითვალისწინებს სამინისტროს ორ დამოუკიდებელ სტრუქტურად დაყოფას – დაზვერვა და კონტრდაზვერვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შოთა კვირაიას „პრორუსული" მინისტრის იმიჯი აქვს, დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით მისი გეგმა პროგრესულია.

კვირაიას ირგვლივ ატეხილ სკანდალზე შევარდნაძემ მოიპოვა დამატებითი ქულები, როგორც დამოუკიდებელი პრესის დასაცავად აღმდგარმა დემოკრატმა პრეზიდენტმა, რომელიც „დასჯის ყველას, ვინც კი ჟურნალისტების სატელეფონო საუბრების მოსმენას გაბედავს" და ამ მდგომარეობას სწორედ შოთა კვირაიას განუხორციელებელი იდეის რეალიზაციისათვის იყენებს.

სარწმუნო წყაროს თქმით, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შეფების თანამდებობებზე ყველაზე რეალური კანდიდატები არიან „დროთა განმავლობაში შემოწმებული და მარად აუცილებელი კადრები" – უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) ჯემალ გახოკიძე და სამთავრობო დაცვის უფროსი ვახტანგ ქუთათელაძე, „რომელიც დათანხმდება ახალ თანამდებობას, თუ პრეზიდენტი კონტრდაზვერვას მის ფუნქციებს დაუმატებს და ამ სტრუქტურების ერთ მთლიანობაში შერწყმას მოისურვებს".

სარწმუნო წყარომ პრაიმ-ნიუსს აცნობა, რომ „ეს არ არის კანდიდატურების საბოლოო ვარიანტი და სავსებით შესაძლებელია პრეზიდენტმა სრულიად ახალი ვარიანტები შემოგვთავაზოს".

**ინგა დადიანი, პრაიმ-ნიუსი**

# თქვენ იგივე ხართ მარად და მარად?!

## გამოხმაურება ცნობილი ინტელიგენტების კოლექტიურ წერილზე

დავხედე გაზეთ „საქართველოს" 24-26 ივნისის ნომრის პირველ გვერდს და გული სიამაყით ამევსო. „დროა, ეს პოლიტიკური სპექტაკლიც დამთავრდეს" – იუწყებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან" გადმობეჭდილი 21 ივნისის წერილი. ნაადრევი გამოდგა ჩემი სიხარული. ჩავაყოლე თვალი ქვევით და თქვენს მტერს, მე ხასიათზე დავდექი. წერილის ბოლოდან ჩვენი ინტელიგენციის სასიქადულო ნაწილის გვარებმა ამაყად შემომანათეს. ტანში გამცრა, უსიამოვნო მოგონებებმა გონებაში კინოფირივით გაიელვეს. კაცო, ჩავილაპარაკე უნებურად, ჩვენი ქვეყნის ბედკრული ისტორიის შორეული წარსულის ლაბირინთებს რომ თავი დავანებოთ, დილით რაც შეგვემთხვევა, შუადღემდე აღარ უნდა გვახსოვდეს? ისე, არც არის გასაკვირი. ვინც თავის თავს „ინტელექტუალურ ნაღებს" უწოდებს, სულ ახლო წარსულში დიდი საბჭოთა ქვეყნის ლამაზ თაიგულად წოდებულ ჩვენს პატარა საქართველოსა და მის ყოფილ ხელმძღვანელობას არ ასხამდა ხოტბა-დიდებას? ახლა რაღა ვქნათ, მერამდენედ დაგიჯეროთ ქვეყნისთვის თავდადებულო ამხანაგო – ბატონებო?

თქვენი პრეზიდენტისადმი მიმართვაში რომ ამბობთ, დაილალა ხალხი ამდენი შურითა და ღვარძლითო, ეს ყველაფერი თქვენის ხელით, კალმითა თუ სიტყვით არ დაითესა იმ კომუნისტურ ეპოქაში? განა ეს შხამი და სამსალა, რაც ჩვენ მოვიმკეთ და ვიმკით, თქვენი საქვეყნო „ზრუნვისა და არაადამიანური ძალისხმევის" შედეგი არ არის? აბა, გადახედეთ თქვენს იმ ძველ ნაშრომ-ნაღვაწს, კომუნისტური რეჟიმის ქება-დიდებას არ წარმოადგენს? ყოველივე ამის ჩამდენებს კიდევ როგორღა გენდოთ? თქვენისთანებმა არ ჩააგდეს ქვეყანა ასეთ უბედურ დღეში? ჩვენ კი, ქვეყნისათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში არ ჩაგაბარეთ საკუთარი ოჯახების უბედურებისა და სისხლის ფასად მოპოვებული ახალი საქართველოს ბედი? სით მიგყავთ ქვეყანა, რა არის თქვენი და თქვენნაირი ხალხის კრედო? ეს არის პირადი კეთილდღეობა, უცხოური ავტოების ხმაური, დოლარების სასიამოვნო შრიალი. რატომ უჭირთ წმინდა სამების ეკლესიის მშენებლებს, როცა ჯერ მარტო ქალაქში ჩვენი „ერისშვილების" მიერ ისეთი სახლები შენდება, თითოში სამი სამების ეკლესია გამოიჭრება. ეს ხდება სწორედ დღეს, ჩვენთვის ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამს, როცა პატიოსან ადამიანს ლუკმა-პური ენატრება. მოკლედ, მოდით, ნულარ ჩავულრმავდებით, ესეც გვეყოფა.

თქვენი წერილით, ჩემო პატივცემულებო, პრეზიდენტს ისევ და ისევ დათვურ სამსახურს უწევთ. ყველას კარგად ახსოვს, როგორ მოუწოდებდით ხალხს სიწყნარისა და მორჩილებისაკენ კომუნისტური რეჟიმის რღვევისას. ეშველა მაშინ საქართველოს ამით რამე? – არა. ვთქვათ, ამდენი უბედურების მნახველი და გადამტანი, მე და ჩემისთანები გავჩუმდით, ან თქვენსავით ყველაფერი კარგ ფერებში დავინახეთ, ვიქნებით მართლები ჩვენი სინდისის წინაშე? თქვენი გულის მოსაფხანად თუ გასახარად, მარცხნივ თუ მარჯვნივ, მტყუანსაც და მართალსაც ერთნაირად რომ სპობთ და ანადგურებთ, ეს არის საქმე? ამ უკვე „თვალში საცემი" სტაბილიზაციისა და ეკონომიკური „აღმავლობის" პერიოდში ვის ხელში მოაქციეთ ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები? ყარყარეებისა და სეთურების, ჩარჩ-ვაჭრებისა და სხვათა სათარეშოდ გახადეთ ქვეყანა? ახლა რა ვქნათ, თქვენდა საამებლად ჩვენც დაგიკრათ „ცალსახა" ტაში და ჩვენის „ღრმა" რწმენით დავხუჭოთ ყველაფერზე თვალები? ამას ჩვენ ვერ ვიზამთ, არა გვაქვს ამისი მორალური უფლება ქვეყნის, ერის, ჩვენი დიდი წინაპრებისა და შეწირული თუ ნაბრძოლი ბიჭების წინაშე.

ისტორიამ სულ ცოტა ხნის წინ გამოუტანა თავისი საბოლოო მკაცრი განაჩენი დანაშაულებრივ კომუნისტურ რეჟიმს. ძველი სუკ-ის შენობა დაიფერფლა. უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროები და ყველა სხვა სამართალდამცავი ორგანოები ჩვენი ადამიანების მშვიდობიან შრომასა და დემოკრატიული თანაცხოვრების წესს უნდა იცავდნენ. მათი თანამშრომლები თვისობრივად ახალ საქართველოს განწმენდილები, გასპეტაკებულები, წრფელი გულითა და სუფთა ხელებით უნდა აშენებდნენ. მაშინ მათი დამცველი მთელი ქართველი ერი იქნება. უშიშროების სამინისტროში პირდაპირ ომიდან მივიდნენ ბიჭები, რომელთაგან საუკეთესონიც 1993 წლის 22 სექტემბერს სოხუმში ჩაფრენისას თვითმფრინავში დაიწვნენ. ისინი ყველასათვის კაცობის, მაღალი ზნეობისა და ერისშვილობის განსახიერებას წარმოადგენენ. მხოლოდ მათნაირები უნდა ედგნენ დარაჯად დღეს საქართველოს.

***P.S.** ღმერთმა ქნას, ცნობილი ქართველი ინტელიგენტების პრეზიდენტისადმი მიმართული ასეთი ხასიათის კოლექტიური წერილი პირველი და უკანასკნელი ყოფილიყოს. ისე, მართლაც უკვე დროა დამთავრდეს ეს პოლიტიკური სპექტაკლი თუ საკარნავალო ლამე საქართველოში.*

**ჯემალ შაიშმელაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა კვირაია: რა ვუყოთ, თუ მე არყის ხის წვენი მირჩევნია პეპსისა და კოკა-კოლას?



„27 ივნისის შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძეს არ შევხვედრივარ და არანაირი საუბარი არ მქონია მასთან სხვა სამსახურში გადასვლის თაობაზე", – განუცხადა გუშინ რუსეთის ტელეკომპანია IOA-ს კორესპონდენტებს ჯანმრთელობის გაუარესების გამო კერძო კლინიკაში მოთავსებულმა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა, შოთა კვირაიამ.

მისი თქმით, იციან რა მისი შესუსტებული ჯანმრთელობის შესახებ, მისმა არამოკეთეებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა „ის ინფარქტამდე მიეყვანათ და, ამ გზით, ჩამოეშორებინათ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობიდან".

მის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ქმედებას კვირაიამ „სპექტაკლი" და „ფალსიფიცირება" უწოდა.

გაშლილი კომპანიის მთავარ მიზეზად კი კვირაიას მისი რუსეთზე ორიენტაცია მიაჩნია. „რა ვუყოთ, თუკი მე არყის ხის წვენი მირჩევნია პეპსისა და კოკა-კოლას?" – იკითხა მინისტრმა. (პრაიმ-ნიუსი)

## იური ბატურინი შოთა კვირაიას „შუამდგომლობს"

გუშინ თბილისიდან გამგზავრებამდე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის საბჭოს მდივანი იური ბატურინი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ე.შევარდნაძეს.

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, საუბარი, რომელიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, საფუძვლიანი იყო და ოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას ეხებოდა.

არაოფიციალური, მაგრამ სარწმუნო წყაროების მონაცემებით, ი.ბატურინის ვიზიტის ერთ-ერთი მიზანი იყო „შუამდგომლობა" გაეწია უშიშროების მინისტრის შ.კვირაიასათვის, რომელსაც სხვა ბრალდებებთან ერთად რუსეთის სპეც.სამსახურებთან თანამშრომლობა ედება ბრალად. (იფრინდა)

## დაასახელეს ტრაგედიის მსხვერპლთა ვინაობა

აფხაზური რადიოს ინფორმაციით, დადგენილია იმ 4 პიროვნების ვინაობა, რომლებიც გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშავში იქნენ მოკლული. ესენი არიან – შონია, სიმონიანი, კალანდია და ფოფხაძე. როგორც აფხაზური რადიო იუწყება, ისინი რუსეთის ფედერაციის სამხედრო ფორმაში ყოფილან გამოწყობილი. (მოამბე-ექსპრესი)

# ვახტანგ გოგუაძე: ილია თავებს დაგვიჩეჩქავდა სულ ყველას, როგორც ერის მოღალატეებს

*– ბატონო ვახტანგ, განათლების შესახებ პარლამენტმა დიდი ბრძოლა გადაიტანა. როგორ ფიქრობთ, გადაწყდა თუ არა ძირეული საკითხები, თუ დარჩა კიდევ რაიმე განსახილველი და გვერდზე გადაიდო მნიშვნელოვანი?*

– 24 ივნისი, შეიძლება ითქვას, ისტორიული დღე იყო. ვამბობთ, რომ ერის ხორციელი და სულიერი გენოციდი მიდის. ბავშვს რომ სკოლის კარს ჩაუკეტავ და არ შეუშვებ, ფული არ გაქვსო, ეს არის ადამიანის უფლების ფეხქვეშ გათელვა, ერის ინტელექტის დაშრეტა, გაუბედურება. მე ასე დავიწყე ჩემი გამოსვლა ამ საკითხთან დაკავშირებით – თქვენთვის თუ არის ცნობილი, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას არა აქვს ფული? თქვენთვის თუ არის ცნობილი, რომ ამერიკის და საფრანგეთის მოსახლეობას აქვს ფული? ამდენად იქ სკოლის კარი არავისთვის არ არის ჩაკეტილი. ადამიანის უფლება იქ არ იზღუდება. შენ თუ ფული არა გაქვს, დასჯილი ხარ დაუმსახურებლად იმისთვის, რომ არ ხარ შეძლებული, რაც ადამიანის უფლებას მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ათასობით ბავშვი მაწანწალებად აქციეს ქუჩაში, რაც უდიდესი დანაშაული და ბოროტებაა – ქვეყნის წინაშე. ილია ჭავჭავაძე წარმომიდგება ხოლმე თვალწინ თავისი ხელჯოხით. თავებს დაგვიჩეჩქავდა სულ ყველას, როგორც ერის მოღალატეებს. წერა-კითხვა უნდოდეს ბავშვს და კარები დაუკეტოთ? მაშინ როდესაც ამ გადაგვარებული ახალგაზრდების მასას შეძლებული მამა მუთაქასავით ნებისმიერ სასწავლებელში დადებს. ეს არის უნარის დისკრედიტაცია. საქართველოს ისტორიას ბევრჯერ ახსოვს განათლებისათვის ბრძოლის თავდადების მაგალითები, მაგრამ არ ახსოვს განათლების წინააღმდეგ ბრძოლის უპრეცედენტო შემთხვევა, რაიც დღესა გვაქვს.

პარლამენტში მზის სხივი გამოჩნდა და პარლამენტმა პირველი სერიოზული გამარჯვება იზეიმა. ყველა ფრაქცია, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად გაისარჯა. ჩვენი ლეიბორისტთა ფრაქციის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილმა,



შეიძლება ითქვას, ვეფხვივით იბრძოლა ამ კანონის გატანისას და არა მარტო იბრძოლა, არამედ იშრომა კიდეც.

დიდ გამარჯვებად მიმაჩნია, რომ აღდგა უფასო განათლება საშუალო სკოლაში და ამას უნდა მივაღწიოთ უმაღლესშიც, თორემ სხვანაირად არ შეიძლება. პურზე წინ რაც უნდა დააყენოს კაცმა, ეს არის განათლება. და ის, რომ ქართველს განათლება მოუსპონ, ამაზე დღეს დიდი მუშაობა მიდის იმ ძალების მიერ, რომლებსაც საქართველო უნდათ აქციონ გასავლელ გზად (ПРОХОДНОЙ ДВОР). ისინი მოქმედებენ პრინციპით – გარყვენი ხალხი და დაიპყრობ ადვილად, გათიშე და იბატონეს პრინციპით. დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ მოწოდებული შხამი არ ყოფილა წამალი მაკურნებელი. მე-19 საუკუნეში კულტურული ჩემოდნით რაც არ უნდა წამოგველო დასავლეთიდან, ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ ახლა იქიდან ჩვენ მოგვაქვს იაფფასიანი მასალა და გადასაყრელი, ის, რაც არ უნდა მოგვქონდეს. ამიტომ ჩვენ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. 24 ივნისს ქართული განათლების საკითხს ნათელი მოადგა და ეს იყო ღვთის ნება. ღმ-

გაგრძელება მე-4 გვ.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №66.

● პასუხი ოპონენტებს

# რანი ვიქნებით?

### ალექსანდრე ჭაჭია

ი.პატარიძე თვლის, რომ ვამბობ რა აფხაზეთიდან ქართული ჯარის პანიკური გაქცევის შესახებ, მე ამ ფაქტს „ცინიკურად" ვახსენებ. არა, ბატონო იგორ, არა ცინიკურად, არამედ გულისტკივილითა და სიმწრით. არ ვიცი, რა გაკავშირებთ თქვენ აფხაზეთთან, მაგრამ მე ამ ომმა ბევრი უახლოესი ადამიანი დამაკლო, სამშობლო წამართვა, ის სახლკარი გადამიბუგა, სადაც ჩემი მამა-პაპა ცხოვრობდა, რომელშიც მე და ჩემი ძმა გავიზარდეთ, ომმა ჩემს წინაპართა საფლავეთა ნახვის საშუალებაც კი წამართვა. იმის გამო, რომ „შევარდნაძის არწივები" გაიქცნენ, უკან დატოვეს რა მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩემი სამოცდაათი წლის დედა, რძალი მშიერ ბავშვებთან ერთად რამდენიმე დღე-ღამე ფეხით მთებზე გადმოდიოდნენ. ამ დროს კი გენერლის ფორმაში გამოწყობილი არარაობები თავიანთ „მთავარსარდალთან" ერთად ტელევიზიის ეკრანებიდან ჩიოდნენ, თუ როგორ უღალატეს მათ ზვიადისტებმა, აწყენინეს რუსებმა და რა ფანატიკოსები აღმოჩნდნენ თურმე ჩეჩნები. მერე კი დაიწყეს სამხედრო აღლუმების ჩატარება, „სახელოვანი ქართული ჯარის" და მისი „ბრწყინვალე" გენერალიტეტის ქება-დიდება. დღეს კი იგივე გენერლები და იგივე „მთავარსარდალი" გვანიშნებენ, რომ რუსეთის ჯარი ენგურზე გადასვლას უშლის, თორემ ისინი უკვე დიდი ხანია ფსოუმდე მივიდოდნენ... და თქვენ გინდათ, რომ მე მათ დავუჯერო?

აფხაზეთის პრობლემა ცალკე თემაა, ამ წერილში მისი განხილვა შეუძლებელია, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ არავითარ შედეგს, რომელიც ქართველი ხალხისთვის და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მომგებიანი იყოს, ახლანდელი ხელისუფლება ვერ მიაღწევს. გაგრძელდება უკვე მრავალწლიანი პრაქტიკა, როცა პერიოდულად ინიშნება აფხაზეთში შესვლის სულ ახალი და ახალი „ზუსტი" თარიღი და რუსთაველზე ბუტაფორული აღლუმების ჩატარება. დღეს ქართულ საზოგადოებას თავს ახვევენ აფხაზეთის პრობლემის „უახლოეს პერიოდში" გადაწყვეტის ორ ვარიანტს. პირველი დაკავშირებულია СНГ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა მარტის გადაწყვეტილების რეალიზაციასთან. თუ „მშვიდობიან ძალთა მოქმედების ზონის გაფართოებას" ჩვეულებრივ ენაზე გადმოვიყვანთ, ეს ნიშნავს გალის ტერიტორიის, აფხაზეთის დანარჩენი ნაწილის დაუბრუნებელ დაკარგვაზე გაცვლას (ჯერ კიდევ ორი წლის წინ მე სააგენტო ბი-ჯი-აი-ს გადავეცი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიღებული მასალა ამ პროექტის შესახებ. ზოგიერთმა ქართულმა გაზეთმა ეს მასალა მაშინ ვერსიის სახით გამოაქვეყნა). მეორე ვარიანტი ითვალისწინებს СНГ-ს მშვიდობიანი ძალების გაყვანას და მათ ნატოს (ანუ თურქეთის) ძალებით ან სპეციალურად შექმნილი ე.წ. შავი ზღვის მშვიდობიანი ბატალიონით (ანუ ისევ თურქებით) შეცვლას. ძალზე დამახასიათებელია ის, რომ თურქეთის ჯარის კონფლიქტის ზონაში შეყვანა აწყობს როგორც საქართველოს ხელმძღვანელობას, ასევე აფხაზეთის რადიკალურ სეპარატისტულ წრეებს. კიდევ უფრო დამახასი-

დასაწყისი იხ. „საქართველო" №66.

გაგრძელება მე-4 გვ.

## მანანა არჩვაძე-გამსახურდია ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში ადანაშაულებს გუგუშვილს

„საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბესარიონ გუგუშვილს, რომელიც გარკვეულ ძალებთან კავშირში მოქმედებდა, აწყობდა იმის თქმა, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და საშინელ წამებაში დაასრულა სიცოცხლე", – განაცხადა გუშინ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოებების დამდგენი საზოგადოებრივი კომისიის წევრებთან შეხვედრისას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ, მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელიც იქ თავის უფროს ვაჟთან, ცოტნე გამსახურდიასთან ერთად მივიდა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი კერვალიშვილმა დამსწრეთ შეახსენა, რომ კომისიის მიზანია ბათილად იქნას ცნობილი მტკიცება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის შესახებ.

მანანა არჩვაძემ საზოგადოებრივ კომისიას აღუთქვა, რომ გადასცემდა მის ხელთ არსებულ დოკუმენტურ მასალებს გამსახურდიას მკვლელობის შესახებ.

„ვიდრე კომისია მუშაობას არ დაასრულებს, გამოძიების მასალები წინასწარ არ უნდა გამოქვეყნდეს", – მოითხოვა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივმა, რომელმაც დასაშვებად მიიჩნია პროფესიონალი იურისტების ჩართვა კომისიის მუშაობაში.



„ზვიად გამსახურდიას 12 წლიდან ებრძვიან, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მან სკოლაში პატრიოტული ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. ეს ბრძოლა არასოდეს შეწყვეტილა და ზვიადის მკვლელობით დასრულდა", – დასძინა მანანა არჩვაძემ. (პრაიმ-ნიუსი)

## მიტინგი სოხუმში

„მოამბე-ექს-პრესის" კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ გუშინ, სოხუმში გაიმართა მიტინგი. მომიტინგეთა განცხადებით, ის ქართული დივერსიული ჯგუფების ტერორისტული აქტების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელთა მოქმედება, თითქოსდა, ხელს უშლის ორ სახელმწიფოს – საქართველოსა და აფხაზეთს – შორის ნორმალური ურთიერთობების მოგვარებას. მიტინგის მონაწილენი ე.წ. საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე საპასპორტო რეჟიმის გამკაცრებას მოითხოვენ. (მოამბე-ექს-პრესი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ გოგუაძე:

# ილია თავებს დაგვიჩეჩქავდა სულ ყველას, როგორც ერის მოღალატეებს

მესამე გვერდიდან

ერთმა მთლად არ გაგვწირა.

*– რას იტყვით იმის შესახებ, რომ გამგებლებს და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს ნიშნავს პრეზიდენტი და საერთოდ, ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნას პრეზიდენტის თანხმობა სჭირდება. ბ-ნ ზვიადსაც ამის გამო არ ვკიცხავდით? როგორ თვლით, მისაღებია ეს თუ არა?*

– მე გამოვხატე ბატონ ზვიადის დროს აღშფოთება ასეთი დიქტატურის მიმართ. დიქტატურა სწორედ ეს ანტიდემოკრატიული სტრუქტურაა. მაშ ხალხი იმისთვის გინდა, რომ შენ აგირჩიონ მარტო? მათ ოდნავ პატივი არ უნდა სცე? ეთქვათ, პრეზიდენტმა დანიშნა ერთი გამგებელი, მაგრამ სამოცდაათი სხვადასხვა რაიონის მართლა თვითონ იცნობს ყველას, ვისაც ნიშნავს? ეს საქმე აბსოლუტურ მექრთამეობაში ჩაფლობას მოასწავებს და კორუფცია მერე ნახეთ თქვენ. ასეთი რამის გაკეთება კი არაფრით არ შეიძლება. პარლამენტში ამ მხრივ დიდი გამოფხიზლებაა და მგონია, რომ ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს. გამგებელი, მერი ხალხმა უნდა აირჩიოს.

სამი წლის წინ ევროპის უშიშროების მისიის ელჩი მიდიოდა აქედან და გამოსათხოვარი მიღება გავუკეთეთ. კაცი გაოგნებული იყო. რას აკეთებთო, – მითხრა, რწმუნებული დანიშნეთ, გამგებელი დანიშნეთ – ასე გინდათ ევროპულ სამყაროში შეხვიდეთო? ეს არათუ დემოკრატია, არამედ დემოკრატიის ნასახიც არ არის. ამ კანონისათვის კი, ალბათ, ყველა საღად მოაზროვნე პარლამენტარი იბრძოლებს.

მაგონდება ასეთი ეპიზოდი: 1970 წლის თებერვალი. პაელოვის ქუჩაზე ერთ კარგ ოჯახში კარგი პურ-მარილია, მცირერიცხოვანი სტუმრებით. თამადად – ბატონი გიგა ლორთქიფანიძე. როგორც ყოველთვის, ერთი – ერთმანეთზე საინტერესო ამბებს ჰყვება. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი: – ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი რომაა, ედუარდ შევარდნაძე, ჩემი მეგობარია, კარგი ბიჭია სხვათაშორის. ამას წინათ ვეუბნები, – ედუარდ, რაიონის ხელმძღვანელი მაინც აარჩევინეთ ხალხს–მეთქი. რა მითხრა იცით? შენ გინდა ხალხი დემოკრატიის გუნებაზე მოიყვანო? მერე მჟავანაძის გადარჩევა რომ მომთხოვონ?..

ოი, საკვირველებავ, საქართველოში რომ გაიფურჩქნები. დემოკრატიის სახელით ბატონი ედუარდი დღეს ხალხს არ ანებებს რაიონის ხელმძღვანელის არჩევას. ხალხი მომზადებული არ არისო. დღეს, 1995 წელს რომ ხალხმა აგირჩიათ, იმ ხალხზეა ბატონო ჩემო, ლაპარაკი...

**ესაუბრა ხათუნა აბაზაძე**

***P.S.*** *ინტერვიუ ჩაწერილია 25 ივნისს. ნაადრევი აღმოჩნდა განათლების გამარჯვების ზეიმი. 27 ივნისს განათლებას გაუნათლებლობამ აჯობა. მაგრამ ენახოთ?!*

● *პასუხი ოპონენტებს*

# რანი ვიქნებით?

**ალექსანდრე ქაჩია**

მესამე გვერდიდან

ათებელია ის, რომ შავი ზღვის მშვიდობიანი ბატალიონის შექმნის იდეას ე.შევარდნაძე იხილავს თურქეთის იმ გენერალური შტაბის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, რომელიც ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან აქტიურად პროვოცირებდა და ინსპირირებდა აფხაზთა ყველა ანტიქართულ გამოსვლას, იყო სოხუმის მთიელ ხალხთა კონფედერაციის „დედაქალაქად" გამოცხადების ინიციატორი, ხოლო დღეს ყველა იმ თურქული გემის უკან, რომლებიც სოხუმის პორტში რეგულარულად განიტვირთებიან, დგას სწორედ ეს გენშტაბი მისი სადაზვერვო სამმართველოთი.

მოკლედ ვიტყვი, რომ სინამდვილეში არსებობს საქართველოსათვის და ქართველი ხალხისათვის აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ასე თუ ისე მისაღები სამი რეალური ვარიანტი (გარდა იმ ყველაზე ეფექტურისა, რომელიც იქნებოდა 1995 წელს ახალი პრეზიდენტის არჩევა. საქართველომ ეს საშუალება ვერ გამოიყენა; ამ ვარიანტით ისარგებლა მოლდოვეთმა, სადაც ახალმა პრეზიდენტმა უკვე დაიწყო კონფლიქტის მოგვარების პროცესი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ორი სხვადასხვა ვარიანტი ითვალისწინებს საპრეზიდენტო და საპარლამენტო ხელახალი არჩევნების აუცილებელ ჩატარებას, თანაც ერთ-ერთი მოთხოვნა იქნება ის, რომ გარკვეულმა პირებმა ორივე მხრიდან ამ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღონ. რა თქმა უნდა, ხელისუფლებისათვის ეს ვარიანტები გასაგები მიზეზების გამო მიუღებელია. დარჩენილი ერთი ვარიანტი (ყველაზე რთული, შრომატევადი და შედარებით გრძელვადიანი) შეთავაზებულ იქნა ე.შევარდნაძისათვის ჯერ კიდევ შარშან, მაგრამ უშედეგოდ. ის ითვალისწინებს ახლანდელი კორუმპირებული მთავრობის პოლიტიკური არენიდან მოშორებას, მის იმ პროფესიონალთა კონკრეტული ჯგუფით შეცვლას, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ წრეებში მხარდაჭერით სარგებლობენ, და ამ ახალი მთავრობისათვის ყველა იმ ძალაუფლების დელეგირებას, რაც შიდა კონფლიქტების მოგვარებას და СНГ-ს ქვეყნებთან ურთიერთობებს ეხება.

აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის ყველა დანარჩენი ვარიანტი წარმოადგენს ხალხის მორიგ მოტყუებას, კონკრეტული ზომების მიღების მორიგ გადადებას, საქართველოს ჩიხურ სიტუაციაში მორიგ შეყვანას, (როგორც ე.შევარდნაძემ გააკეთა, როცა განაცხადა, რომ მზად არის აფხაზეთთან ისეთი ურთიერთობები დაამყაროს, რა ურთიერთობებიც რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის დამყარდებაო. უფრო უპასუხისმგებლო განცხადება ძნელი წარმოსადგენია!). ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების უუნარობას, არის უაზრო შეიარაღებული შეჯახება, რომელიც კიდევ რამდენიმე ათას სიცოცხლეს იმსხვერპლებს როგორც ათასობით უკვე დაღუპულები, ასევე ეს ახალგაზრდებიც დაიღუპებიან არა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, არამედ ქართული სახელისუფლებო ელიტის ამბიციურობისა და სავარძელთა დაცვისათვის. დაღვრილი სისხლის ასეთმა საშინელმა სიუხვემ შეიძლება ქართველი ხალხის ნებისყოფის პარალიზება გამოიწვიოს და აიძულოს ის, ხელი ჩაიქნიოს აფხაზეთზე...

მაგრამ აფხაზეთს სხვა რეგიონებიც მოჰყვება: უნებისყოფო ხალხს ყველაფერს წაართმევენ...

ძალზე დამახასიათებელია იპატარიძის წერილის სათაური: „ჭაჭია გვაშინებს..." 1992 წლის მაისში მე შუამავლის მეშვეობით ე.შევარდნაძეს გადავეცი წერილი აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის დეტალური ანალიზით, რადიკალური წრეების ნეიტრალიზაციისა და ქართული პოზიციების გამაგრების შესახებ კონკრეტული წინადადებებით. წინადადებები შეთანხმებული იყო აფხაზური პოლიტიკური ელიტის პროქართულ ნაწილთან. როცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა (გარდა ბ.შინკუბას 75 წლის იუბილეს მილოცვისა), მე ვიგრძენი, რომ მზადდება სხვა, საშინელი ვარიანტი და მივწერე მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი იყო ომის ყველა შესაძლო შედეგი, მათ შორის ის, რომ გარკვეული ძალების მიერ ომი მსოფლიოში წარმოდგენილი იქნება, როგორც მცირე ერის მიმართ აგრესია და საბოლოოდ ჩვენ მას წავაგებთ. შევარდნაძის ახლობელმა პირმა, რომელმაც მას წერილი გადასცა, მითხრა: „რას გვაშინებ, კაცო, შევარდნაძის მსოფლიო ავტორიტეტი დაგავიწყდა?" ომის დაწყების შემდეგ, აგვისტოს ბოლო რიცხვებში მე გადავეცი შევარდნაძის უახლოეს მრჩეველს ინფორმაცია ჩეჩენთა პირველი ჯგუფების შესახებ, რომლებიც აფხაზების დასახმარებლად გადადიოდნენ და გავაფრთხილე, რომ ეს დიდი ძალაა, რომელიც ომში გადამწყვეტ როლს შეასრულებს. პასუხი ასეთი იყო: „რას გვაშინებ ამ ჩეჩნებით? ბოლოს და ბოლოს, სულ რაღაც 600 ათასი არიან..." (ეს რომ ჩინელს ეთქვა, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ ქართველს?). როცა 1992 წლის ოქტომბერში ამ ომის აზრი და მიზანი ჩემთვის სრულიად გასაგები გახდა, მე მივმართე აფხაზეთის ქართული საზოგადოებრიობის ზოგიერთ წარმომადგენელს: თვითონ უნდა გავიდეთ აფხაზებზე და შევეცადოთ შევწყვიტოთ ეს ომი, ვინაიდან ის დაწყებულია არა იმისათვის, რომ მოგებული იყოს–მეთქი. მე მიპასუხეს: ნუ გვაშინებ, თბილისში შეგვპირდნენ, რომ ახალ წელს ბიჭვინთაში შევხვდებითო. ჩემმა ძმამ და დედამაც კი არ დამიჯერეს: ნუ გვაშინებ, შევარდნაძე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსია და საკუთარ ხალხს ხომ არ გაგვწირავსო. პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც ჩავერთე, ბატონო იგორ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ „უშიშარებმა" თავისი „ვაჟკაცობით" და „შორსმჭვრეტელობით" ქვეყანა დაღუპეს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

● *დღიურები*

# რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

*ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე*

**6/XI — 17/XI, 94 წ.**

ქუთაისში გადაიხადეს საჯარო ბიბლიოთეკის 120 წლისთავი.

თბილისიდან აკაკი ძიძიგური, ლევან სანიკიძე, რეზო ჭეიშვილი და მე მიგვიწვიეს.

წვიმდა ქუთაისში.

გასაოცარი ის გახლდათ, რომ ბიბლიოთეკის იუბილეზე უამრავი კაცი მოვიდა. იარუსებიც ვერ იტევდა მაყურებელს.

ვთქვი – ერი, რომელსაც შეუძლია ბიბლიოთეკის იუბილე იზეიმოს და ამ შიმშილ-სიცივეში ამდენი ადამიანი მოვიდეს თეატრში, არ მოკვდება–მეთქი.

ბიბლიოთეკა – აზრის, სიბრძნის განძთსაცავია და ჩვენ მისი ფასი კარგად ვიცით–მეთქი.

ბოლოს, მინდა ის ახალგაზრდა ვახსენო ამ ტრიბუნიდან, რომელიც ხვალ პირველი შემოაღებს სამკითხველოს კარებს, ამოიღებს კიბეებს და სიცივედავიწყებული წიგნს მიუჯდება–მეთქი.

სწორედ იმ საყდრულ მყუდროებაში უნდა დაიბადოს ის ღვთიური ფიქრი, ასე რომ სჭირდება დღეს ქართველ ერს, რომელიც რუსის მონობისაგან დაგვიხსნის და თავისუფალ, ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოს მოიტანს–მეთქი.

კარგა ხანს გუგუნებდა ტაში.

ძალიან საინტერესო კაცია ბ-ნი აკაკი ძიძიგური – ეროვნული ბიბლიოთეკის თავკაცი – იუმორით სავსე, მთელი ენციკლოპედიაა.

ქუთაისში არ იყო დენი, წყალი, გაზი.

მაგრამ ქუთაისი მაინც ქუთაისობდა.

თავისი პეწი და მომხიბვლელობა არ დაეკარგა.

ღამის 2 საათზე წამოვედით და დილის 6 საათზე დავბრუნდით თბილისში.

**18/XI –94 — 18/I, 95 წ.**

ისე ვიყავი დამუხტული ბოლოდროინდელი ეპოქალური კატაკლიზმებით, რომ დღიურებისათვის ველარ მოვიცალე.

რუსეთმა ველარ აიტანა „დემოკრატიული სახელმწიფოს" გრიმ-პარიკი, ნიღაბი მოისროლა და ჩეჩნეთს თავს დაესხა.

დღეს 18 იანვარია. დღესაც ბომბავენ გროზნოს. რუსეთის უძლეველი არმია უმოწყალოდ ხოცავს ჩეჩენ ქალ-ბავშვთ და მოხუცებს.

ჩეჩნები შარშანწინ საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა რუსეთმა, საქართველო აფსუა-ჩეჩენთა დახმარებით დაიპყრო და ახლა თვით ჩეჩნეთს დაესხა თავს.

„გათიშე და იბატონე" – იმპერიის ნაცადი ლოზუნგია.

მაგრამ ქართველები ვერც ამჯერად ჩაითრია ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომში.

, თუმცა, ვინ დაგიმადლის. ჩრდილოეთკავკასიელ ველურ ტომებს საქართველოსთან თავიანთი ანგარიში აქვთ. პირველი შესაძლებლობისთანავე კბილთაღრჭიალით წამოვლენ საქართველოზე.



ასეთია ჩვენი ბედი.

რუსეთმა ჯერ საქართველო და აზერბაიჯანი დაიპყრო, მერე მოლდოვა, ახლა ტაჯიკეთს და ჩეჩნეთს იპყრობს, „თეთრ დათვს" თავისი ყოფილი კოლონიები ახლიდან დასაპყრობად ექცა.

სანამდე დახუჭავს თვალს მსოფლიო რუსეთის – ხალხთა საპყრობილეს წინაშე?

13 იანვარს თბილისიდან კიტოვანის მეთაურობით ოცი ავტობუსი დაიძრა.

მიზანი? აფხაზეთის გასათავისუფლებლად მივდივართო.

იქნებ მართლაც მიდიოდნენ?

შევარდნაძემ წამუყო კაგებეს და კიტოვანის მოიერიშე ლაშქარს ხაშურში გზა გადაუჭრეს.

კიტოვანი, სურგულაძე და ხუთასამდე მოლაშქრე დააპატიმრეს.

ბრალდება? თქვენ აფხაზეთის გასათავისუფლებლად კი არ მიდიოდით (რაც, სანამ საქართველოში რუსის ჯარი დგას, პრაქტიკულად შეუძლებელია), გინდოდათ, სამეგრელო აგეჯანყებინათ შევარდნაძის წინააღმდეგო.

გუშინ სიგუაც მისცეს პასუხისგებაში.

აფხაზეთის ოკუპაციის ჩაშლით ფრთაშესხმული არძინბა ზეიმობს.

რატომ ვუელით, რატომ ვინახავთ ასე სისხლისმსმელ „ბატონ არძინბას" (შევარდნაძის გამოთქმაა), ვერ გამიგია.

თუმცა („ერთი თხისკენ და ერთი მგლისკენო") ხუთასი კაცით და ვერც ასჯერ ხუთასით რუსი აფხაზეთს რომ არ დაგვითმობდა, ფაქტია.

ბრძოლა კი მაინც მოგვიწევს.

უაფხაზეთობას არ უნდა შევურიგდეთ.

ნიკო ლორთქიფანიძის პატარა ნოველა „ქედუხრელნი" მახსენდება; პატარა ბიჭი (ოციოდე წლისა) მარტო შეებრძოლა თათრებს. ციხე ვერ აიღო, მაგრამ მის კვალზე ერთი თვის შემდეგ ათასები მოვიდნენ.

ასეთია თავისუფლებისათვის ბრძოლის ლოგიკა.

...ახალ წელს სამნი შევხვდით – შიო, სვეტა და მე.

უაჩიკობა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო მიძნელდება.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დასაწყისი იხ. „საქართველო" №48-68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რედაქტორისაგან:* გაზეთში სამსახური ისეთი საქმეა, ხშირად რომ გაგდებს კაცს გამოუვალ მდგომარეობაში.

პირადი და საზოგადოებრივი ინტერესი ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს. ასე, მაგალითად, ამა თუ იმ პირთან მშვენიერი პირადი ურთიერთობა გაქვს, მაგრამ, გაზეთში, დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, იძულებული ხარ მისი საწყენი წერილი დაბეჭდო. ვიცი, ბატონ რეზო მიშველაძეს ეწყინება ჩემგან, ქვემოთწარმოდგენილ წერილს რომ ვუბეჭდავ ავტორს, მაგრამ მინდა მან გაითვალისწინოს, მის დღიურებშიც ხომ უამრავი მწერალია გაკენწლილი, რომელნიც ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ პიროვნული მოტივით მიშველაძის დღიურების პუბლიკაციაზე უარი არ მითქვამს, ვინაიდან მას უპირველესად საზოგადოებრივი ღირებულება აქვს.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პატივისცემას რევაზ მიშველაძის, მისი ნიჭის და შემართებისადმი. ხოლო თუ ქვემოთწარმოდგენილი წერილის გამო მაინც გამინაწყენდება, ჩავთვლი, რომ ჩვენს სინამდვილეზე ზედგამოჭრილი ყოფილა ბრძენკაცის ნათქვამი:

ქრისტიანობა კარგია, მაგრამ კარგია, როცა სხვა გვექცევა ქრისტიანულად.

წარმართობა ცუდია, მაგრამ კარგია, როცა ჩვენ ვიქცევით წარმართულად...

*P.S. რაც შეეხება ბატონ თემურის წერილში ქვესათაურზე „ქორიძეს მაგარი სილა გავაწანი" აქცენტის გადატანას, ეს ქვესათაური რედაქციისაა და ავტორი არაფერ შუაშია.*

# მიშველაძე ცრუობს!



**ამჟამად** საქართველოში იშვიათად მოიძებნება მწერალი, ან თუ გნებავთ, მწერლობას მიმსგავსებული სხვა რომელიმე ხელობის ადამიანი, რომელიც იმდენს წერდეს და აქვეყნებდეს, რამდენსაც ბატონი რევაზ მიშველაძე წერს და აქვეყნებს... როგორც მსგავს შემთხვევაში ახლო წარსულში იტყოდნენ ხოლმე, – ერთობ „ხვავრიელი შემოდგომა" უდგას ბატონ რევაზს!

ჯერ იყო და, კვირა ისე არ გავიდოდა, „ცხელ გულზე დაწერილი ნოველებით" არ გაეხურებინა სიცივისაგან გათოშილ მკითხველთა მიმქრალი კერია.

შემდგომ ამისა, ნოველა იქით იყოს და, – რაც კი უბის წიგნაკში, სიგარეტის კოლოფზე თუ კუპონის გაცრეცილ ქაღალდზე ბრძნული და არდასავიწყარი აზრები ჩაუნიშნავს, – ყველაფერი ერთბაშად რედაქციებში ჩამოურიგებია და მადლიერი საზოგადოების თვალის ასახელად სამზეოზე გამოუტანია.

ასე და ამგვარად, მოგონებათა თავახდილ სკივრიდან, ვითარცა პანდორას ყუთიდან, ერთმანეთის მიყოლებით დაიძრნენ ბატონ რევაზ მიშველაძის „გმირული მოღვაწეობის" ამსახველი წლები, თვეები, დღეები, წუთები, წამები და თვით წამებზე უმცირესი გაელვებანიც... ღრმა „ისტორიული მნიშვნელობის" მქონე ეს ქრონიკები „ბარომეტრის სიზუსტით" აღნუსხავს ქართველი ერისათვის ფასდაუდებელ მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. მათ შუაგულში კი, როგორც წესი, სრულიად არასაიდუმლოდ, თვით ბატონი რევაზ მიშველაძე დგას. ასე, მაგალითად:

კომუნისტი *მიშველაძე* თავგამეტებით იბრძვის კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ!

დემოკრატიზებულმა *მიშველაძემ* დემოკრატიული ომი გამოუცხადა დიქტატორ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას!

პატრიოტ *მიშველაძეს* არც შევარდნაძის პოლიტიკა ეხატება გულზე და გზადაგზა თითის დაქნევით აფრთხილებს მის თანაგუნდელებს!

ბრძენ *მიშველაძის* მხურვალე შეგონებებს, როგორც თავად აღნიშნავს, „ცალ ყურში უშვებენ" ძლიერნი ამა ქვეყნისანი, მაგრამ იგი მაინც არ ცხრება, გულს არ იტეხს და ფარ-ხმალს (იგულისხმება საწერ-კალამი) არ ჰყრის!

ამიტომ, „მოუთოკავ" და „მეტად პრინციპულ" *მიშველაძით* ერთობ შეშფოთებულნი არიან „ზემდგომი ინსტანციები", რომლებიც ათასგვარ ხრიკებით ცდილობენ მოუთოკავის მოთოკვას.

მიუხედავად ამისა, მათ არ უწყიან, რომ *მიშველაძედ* ყოფნა მართლაც ერთგვარ „გმირობას" წარმოადგენს. იგი არამც და არამც არ უფრთხის „ეკლის გვირგვინს" (საერთოდ, მიშველაძე არანაირ გვირგვინს არ უფრთხის!).

*ბატონო რევაზ მიშველაძევ!*

თქვენზე უკეთ, აბა, ვინ უწყის, რომ სიცრუისა და ცილისწამებისათვის დღეს არავინ ისჯება კურთხეულ საქართველოში!

დიახ! ეს ანბანური ჭეშმარიტება თქვენ ჩინებულად გაქვთ შეთვისებული, თორემ სამართლებრივ სახელმწიფოში ნამდვილად ვერ გაბედავდით ამდენი სიცრუის, ცილისწამებისა და კაცთმოძულეობის გადმოფრქვევას, – უმალ პასუხს მოგკითხავდნენ და როგორც ცივილიზებულ საზოგადოებას შეჰფერის, – ჭკუას გასწავლიდნენ!

მაგრამ თქვენდა ბედად, დღეს ჩვენ აღარც სამართლებრივი ქვეყანა გაგვაჩნია და ცხოვრებაც ისეა მოწყობილი, რომ კაცი არა ჩანს, მეგობრული თუ არა, წმიდა კოლეგიალური გულისხმიერებით მაინც გვერდით დაგდგომოდათ და თქვენთვის მცირე რამ ესწავლებინა. კი, მართალია, სხვისი ჭკუის დასარიგებელი თითქოს არაფერი გჭირთ, მწერალი კაცის სახელი გაქვთ გავარდნილი, პროფესორიც ბრძანდებით, თან საზოგადოება „თვისტომის" პრეზიდენტობას შესაშური ენერგიულობით უთავსებთ, თუ არ ვცდები, – „ქართული ეთნოსის შემსწავლელი აკადემიის" პრეზიდენტობასაც, ე.ი. როგორც იტყვიან, „თანამედროვე სტილის" აკადემიკოსიც კი ბრძანდებით (თან ორგზის პრეზიდენტიც!), მაგრამ მერე რა? შეაყარე კედელს ცერცვი!

როგორც ფილოლოგს, ქართული საბჭოთა პოემის მკვლევარს, ალბათ, კარგად გესმით, რომ ხსენებულ „კედლად" (გაიხსენეთ ჟან-პოლ სარტრის „კედელი") ხშირად აკადემიკოსებიც შეიძლება მოგვევლინონ და თვით იმპერატორებიც...

ამდენი ტიტულების, ჯილდოებისა და ჩინ-მედლების მქონე „ჩვენი ქვეყნის რაინდს", ალბათ, არ უნდა გაგიკვირდეთ, რომ თქვენთან კამათი გადავწყვიტე. ზემოთ უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ ვაფასებ თქვენს საქმიანობას. ახლა უფრო კონკრეტულად გავესაუბრებით.

*ბატონო რევაზ!*

რაღაც საეჭვოს ვხედავ იმ ფაქტში, რომ თქვენ, ამოდენა რევაზ მიშველაძე, მეტისმეტად ხშირად და ასევე მეტისმეტად გადაჭარბებული ყურადღებით მოიხსენიებთ ხოლმე ჩემს სახელს. შიგადაშიგ მეტად ამბიციურ, თქვენთვის ასე ჩვეულ სიცრუესა და ცილისწამებას არ იშურებთ ჩემი მისამართით (და არა მარტო ჩემი მისამართით). უკანასკნელი წლების განმავლობაში თქვენ პრესაში აქვეყნებთ ელემენტარული ეთიკური ნორმებისაგან ერთობ თავისუფალ, იშვიათი თავხედობითა და ცინიზმით აღსავსე პასკვილებს, სადაც ცდილობთ მაქსიმალურად შეურაცხყოთ პიროვნება, დაამციროთ და აბუჩად აიგდოთ იგი. მის მიმართ არ იშურებთ „ენაზე მომდგარ" არც ერთ სიტყვას, რათა ძირს დაანარცხოთ თქვენთვის არასასურველი პერსონა.

ჯერ იყო და, პრესაში ქილიკი დაიწყეთ, ქორიძე აცხადებს მწერალი ვარო! მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი რამ არც ვიწრო და არც ფართო წრეში არასოდეს წამომცდენია, თქვენ თქვენს მიერვე შეთხზულ ამ ლეგენდის გამო ერთი ვაი-უშველებელი ატეხეთ და შეეცადეთ მკითხველის წინაშე ერთობ ამპარტავან პიროვნებად წარმოგეჩინეთ. „წაგიკითხავთ რამე მწერალ ქორიძის დაწერილიო?" – მიმართავდით საზოგადოებას და ურცხვად ქირქილებდით. არადა, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ჩემი მწერლად მოხსენიება *პირველად სწორედ თქვენგან მოვისმინე.* იქნებ დაგავიწყდათ, როგორ მეწვიეთ ერთხელ ლიტერატურის ინსტიტუტში, როგორ მიძღვენით საკუთარი ნოველების კრებული და თან დაჟინებით მთხოვეთ: რეცენზია აუცილებლად შენ უნდა დამიწეროო. აქვე შეგახსენებთ თქვენეულ „მიძღვნას", რომლითაც ხსენებული წიგნი „დაამშვენეთ": *„თემურ ქორიძეს, – ჩემს უპირველეს მეგობარს, უნიჭიერეს მწერალს, თანამედროვე საქართველოსათვის საჭირო ფიქრით ანთებულ კაცს. ავტორისაგან. რ.მიშველაძე. 26/III.84 წ.".*



ახლა მე გეკითხებით: რა გრჯიდათ, ბატონო რევაზ, ანდა ვინ შეგეხვეწათ, ასეთი გულისამაჩუყებელი წარწერით რომ მომიძღვენით წიგნი? სხვამ თუ არა, თქვენ ხომ მაინც კარგად იცით, რომ მე თქვენი არათუ „უპირველესი", არამედ „უკანასკნელი" მეგობარიც კი არასოდეს ვყოფილვარ?! იქნებ გიძნელდებათ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა?

მაშ, მე დაგეხმარებით:

ის იაფფასიანი მლიქვნელობა თქვენ იმისათვის დაგჭირდათ, რომ ჩემგან პანეგირიკული შინაარსის რეცენზია გამოგეძალათ: „მცირე აფიორა" გაითამაშეთ: ახალგაზრდა ლიტერატორი თქვენი, ე.ი. „გამოჩენილი მოღვაწის", „უპირველესი მეგობრისა და უნიჭიერესი მწერლის" ფრიად შესაშური ტიტულით „დამაჯილდოვეთ" და ჩათვალეთ, რომ ამით პატივმოყვარეობა გამიღვიძეთ, მაგრამ მწარედ მოტყუვდით. მე არ ვიტვირთე თქვენი მაამებლის როლი და ჯერ მწერალთა კავშირში საჯაროდ გითხარით ჩემი პირუთვნელი სიტყვა, შემდეგ კი, მრავალი ბარიერის გადალახვის შედეგად, მაინც გამოვაქვეყნე თქვენი წიგნისადმი მიძღვნილი მკაცრი, მაგრამ ობიექტური წერილი, რომელიც მოგვიანებით შევიტანე ჩემი ნარკვევების კრებულში... (სხვათა შორის, მე შემიძლია კვლავ გავაგრძელო თქვენი პამფლეტების (რომელთაც რატომღაც „ნოველებად" მოიხსენებთ ხოლმე) განხილვა...).

სწორედ ხსენებული რეცენზია გახდა მიზეზი იმისა, რომ წონასწორობადაკარგული და გაბოროტებული რევაზ მიშველაძე დღემდე ლაფითა და ტალახით მიმასპინძლდება. „უპირველესი მეგობრიდან და უნიჭიერესი მწერლიდან" მის თვალში უეცრად გადავიქეცი „კაცუნად", „ქონდრისკაცად" და თქვენ წარმოიდგინეთ, „ვირთხადაც" კი...

აგერ ახლა, გაზეთ „საქართველოში" მსხვილი შრიფტით დაბეჭდილია დიდაქტიკური ხასიათის სათაური: – *„ქორიძეს მაგარი სილა გავაწანი"*... აქაც, როგორც წესი, ყველაფერი თავდაყირა დგას.

„13 ივლისს „ცხოვრებაში" დაიბეჭდა ჩემი დიალოგი „მოვლენათა ცხელ კვალზე" – იგონებს რ.მიშველაძე და იქვე აგრძელებს, – ზვიადი, ქორიძე და ჯაველიძე *მსუბუქად გავკენწლე* (ხაზი ჩემია – თ.ქ.) დიდი ამბავი ატყდა: მამუკა ფაჩუაშვილმა მითხრა, – ქორიძე ცოფებს ჰყრისო".

მიშველაძისაგან გასაკვირი არაა, რომ აქ რამდენი სიტყვაცაა, იმდენივე სიცრუეა.

ჯერ ერთი: ბატონი მიშველაძე წერს: „ზვიადი, ქორიძე და ჯაველიძე *მსუბუქად გავკენწლეო*". ტვინისათვის დიდი ძალდატანება სულაც არაა საჭირო, რომ კაცი მიხვდეს, თუ რა განსხვავებაა *„მსუბუქ გაკენწვლასა"* და *„მაგარი სილის გაწვნას"* შორის. მიშველაძეს კი სათაურად მაინც *„მაგარი სილა"* აურჩევია, რწყილი აქლემად უქცევია და ამ გზით მკითხველის მოტყუება და ჩემი მორიგი შეურაცხყოფა გადაუწყვეტია. რა ქნას: მცირე პერიფრაზს რომ მივმართო, – „ეცრუება და ცრუობს"... იქვე მამუკა ფაჩუაშვილს იმოწმებს, თითქოს მისგან შეუტყვია: „ქორიძე ცოფებს ჰყრისო"...

საინტერესოა, რაღა მაინცადამაინც მამუკა ფაჩუაშვილი მოიხსენია ჩემი „გაცოფების" მოწმედ? მამუკა წლების განმავლობაში ჯერ გაზეთ „საქართველოს", შემდეგ კი „საქართველოს რესპუბლიკას" რედაქტორობდა. ამიტომ მას კარგად ემახსოვრება, რაც ამ გაზეთებში ჩემი სალანძღავი წერილები დაბეჭდილა... საჯაროდ ვთხოვ მამუკა ფაჩუაშვილს: *გამოეხმაუროს ჩემს წერილს და თქვას: თუ ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ მე საყვედური მეთქვას მისთვის ჩემი საწინააღმდეგო მასალის გამოქვეყნებისათვის!* დარწმუნებული ვარ, მამუკა ფაჩუაშვილი ვერც ერთ ასეთ შემთხვევას ვერ გაიხსენებს... ჩემის მხრივ კი დავსძენდი, რომ თვითონ მამუკა პირადად არაერთხელ დამიცავს სხვათა რისხვისაგან. ესეც ფაქტია და იმედი მაქვს მ.ფაჩუაშვილი არც ამას უარყოფს.

სხვათა შორის, ბატონ რევაზ მიშველაძეს ყურადღებიდან გამორჩენია ის გარემოება, რომ გაზეთ „ცხოვრების" რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი არასოდეს ყოფილა. არადა, ჩემი „გასაცოფებელი" მასალა მიშველაძეს სწორედ ამ გაზეთში გამოუქვეყნებია (ცნობისათვის: იმჟამად „ცხოვრება" კომპარტიის გაზეთი იყო). აქედან გამომდინარე, საცა სამართალია, ჩემი „გაცოფების" რაღაც წილი გაზეთ „ცხოვრების" რედაქტორზე, ბ-ნ ო.იოსელიანზეც უნდა „მოსულიყო". იქნებ ბატონ მიშველაძეს ნიადაგი მოესინჯა და ბატონ ოთარ იოსელიანისათვისაც ეკითხა ჩემი „გაცოფების" ამბავი?

ჭეშმარიტად ტყუილს მოკლე ფეხები აქვს!

რევაზ მიშველაძის ტყუილს კი არც თავი გააჩნია და აღარც, რა თქმა უნდა, – ფეხები!

საინტერესოა, ბ-ნ რევაზს ერთხელ მაინც რატომ არ გაახსენდა ჩვენი პირადი შეხვედრა უზენაეს საბჭოში, სადაც ჟურნალ „ღიმილის" დაარსებასთან დაკავშირებით მცირე რამ სამსახური გავუწიე? მაშინ რა მიშლიდა ხელს კარისკენ მიმეთითებინა აბეზარ მთხოვნელისათვის? მით უმეტეს, რომ მე სულაც არ მევალებოდა ჟურნალ-გაზეთების რეგისტრაციაში გატარება და მათთვის ქაღალდის გამოყოფა...

მაშინ ბატონმა რევაზმა მადლიერების გრძნობით დატოვა ჩემი კაბინეტი. ერთხელაც არ წამოცდენია უკმაყოფილება ჩვენი საქმიანობის გამო, არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა, თუნდაც მეგობრული ხასიათის სურვილიც კი...

ახლა ბატონი რევაზი დაუნდობლად თათხავს იმ ხელისუფლებას, რომელიც სწორედაც რომ *პატიოსნად ძარცვავდა* თავის მოვალეობას.

ჩემი თავი ჯანდაბას წაუღია; სულგანათლებულ ზვიად გამსახურდიაზე ისეთ რამეებს თხზავს, რევაზ მიშველაძე კი არა, თვით ძველი ჩეკისტიც არ იკადრებდა... (ამაზე სხვა დროს!).

რა გაეწყობა! მიშველაძემ უნდა იცრუოს! სიცრუე მისი ხელობაა...

ერთი უბედურებაც ისაა, რომ *რევაზ მიშველაძის სიცრუეში არავითარი სიბრძნე არ იმალება.*

**თემურ ქორიძე**

## ბერეზოვსკიმ საქართველოში ჩამოიტანა პროექტი

რუსეთის კომპეტენტური წყაროებიდან ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ საქართველოში თავისი „მოგზაურობის“ დროს, რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბორის ბერეზოვსკიმ ქართულ და აფხაზურ მხარეებთან ერთად განიხილა პროექტი მუშა სათაურით „შეთანხმება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ“.

წყაროების მონაცემებით, უკვე შეთანხმებულია გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი. თუმცა, საბოლოოდ რჩება საკითხი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნის პირობების შესახებ. ოფიციალური სოხუმი, მხედველობაში აქვს რა კოლექტიური სამშვიდობო ძალების აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში გადანაცვლება, კატეგორიულ უარს ამბობს მანდატისა და სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ზონის გაფართოების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეები საქართველოში არ გამორიცხავენ, რომ სოხუმის ხელმძღვანელობას შესთავაზეს მიეღოთ მონაწილეობა კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებაში სოხუმის გავლით. მეთვალყურეთა ასეთი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, იმდენად, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ განაცხადა, რომ თბილისი მზად არის, კასპიის „ძირითადი“ ნავთობის დასავლეთში ტრანსპორტირებისათვის, ბათუმისა და ფოთის პორტებთან ერთად სოხუმის პორტიც აამოქმედოს. (იფრინდა)

## «რუსეთის ე.წ. სამშვიდობო პოლიტიკამ კრახი განიცადა»

– განაცხადა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საქართველოს სახალხო დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარემ, ფრაქცია „ლეიბორისტი“-ს წევრმა ნესტან კირთაძემ.



გაუკეთა რა კომენტარი რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ბ.ბერეზოვსკის სოხუმსა და თბილისში ვიზიტებს, ნ.კირთაძეს შეექმნა აზრი, რომ რუსეთმა წამოიწყო ახალი კამპანია – შუამავლის როლში საგარეო საქმეთა სამინისტრო უშიშროების საბჭომ შეცვალა. დეპუტატის აზრით, რუსეთს ახალი სტრატეგიული ინტერესები გაუჩნდა. ნ.კირთაძემ განაცხადა, რომ რუსეთის შეთავაზებით „ალბათ, საქართველომ და აფხაზეთმა ხელი უნდა მოაწერონ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, როგორც თანაბარმა სახელმწიფოებმა“. ეს კი, ნ.კირთაძის თქმით, არა საქართველოს, არამედ რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში შედის. მისივე თქმით, საქართველოს პარლამენტმა უნდა დაიცვას სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით მიღებული დოკუმენტი, პრეზიდენტმა კი უნდა მოახერხოს სამშვიდობო კონტინგენტის ინტერნაციონალიზაცია. მხოლოდ საქართველოს თურისდიქციის აღდგენის შემდეგ უნდა დაიწყოს ლტოლვილების უპირობო დაბრუნება. (იფრინდა)

# შენც მართალი ხარ

ქართველი ადამიანი „პოპულარობას“ ძნელად ეგუება. საკმარისია თავისი გვარი ბეჭდური ასოებით დაინახოს გამოსახული, რომ მაშინვე ელდა ეცემა, ემანდ ცუდი არაფერი იყოსო. ისე, კარგი იქნებოდა, მაგალითი ჩვენი მთავრობისაგან აეღოთ, რამდენიც არ უნდა წერო (და იკითხო), ყურსაც არავინ შეიბერტყავს. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „გეკუთვნით, გეკუთვნით... მაგრამა არ გეკუთვნით“, რომელიც გაჭიანურებული სასამართლო პროცესების პრობლემებს შეეხებოდა. წერილში მაგალითის სახით მოყვანილი შემთხვევის მოქმედი პირის აზრი არ არის ერთადერთი. არსებობს სხვა აზრიც, ასე ვთქვათ, მოპასუხე მხარე. რედაქცია არ კისრულობს მოსამართლის როლს და არც ალტერნატიული აზრის გამოქვეყნება არის მისთვის მიუღებელი. ეს იმაზედაც მიუთითებს, რომ არავითარი ტენდენციური მიდგომა ამ საკითხისადმი არ გვქონია. ასე რომ, ამ პუბლიკაციის შემდეგ მაინც დარწმუნდებიან ფაბრიკის კოლექტივის წევრები, გაზეთს მხოლოდ თავისუფალი პრესის პრინციპი ამოძრავებს.

მაშ მოვუსმინოთ მეორე მხარესაც.

ბ.ივანიშვილი ყველა პუნქტში ედავება თავის დირექტორს (ამჟამად უკვე – ყოფილს). მისი განთავისუფლება სრულიად კანონიერ საფუძველზე მოხდა და არავითარ თვითნებობას ადგილი არ ჰქონია. იყო კრება და ამ კრებას თვით ანდრიაძეც ესწრებოდა. დღეს უკვე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება (როგორც იქნა), რის საფუძველზედაც ანდრიაძეს დირექტორობასთან არაფერი საერთო არა აქვს. რაც შეეხება ცემას, შანტაჟს და სხვა ამისთანებს, თვით ექს-დირექტორს უფრო ეხერხებათ. სხვათა შორის, რამდენიმე თანამშრომელმა დაადასტურა ანდრიაძის მიერ „ძალისმიერი“ მეთოდების გამოყენების ფაქტები.

მაგრამ ამას ყველაფერს მუშები ასე თუ ისე ეგუებიან. მათ ის უფრო უკლავთ გულს, რომ ყოფილმა დირექტორმა ისინი ფაქტიურად უხელფასოდ დატოვა. 14800 ლარად ღირებული 25 მ3 ფიცარი ნალის ფასად გაყიდა. კოლექტივს ამ გაყიდვის ფაქტში ეჭვი ეპარება. იგივე ბედი ეწია 4 ათასი ლარის ღირებულების 484 კვ.მ დაფანერებულ ფილას. კოლექტივის ზარალმა 10800 ლარი შეადგინა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტისამ – 1076. მას დაემატა კიდევ 26 ათასი ლარიც, რომელიც ვითომდა ფაბრიკისათვის დამხმარე მასალების შესაძენად დაიხარჯა. სინამდვილეში, თანამშრომლების აზრით, ეს ფული ანდრიაძემ მიითვისა.

ყოველივე ამის გამო მუშებს ხელფასი ვერ მიუღიათ, რადგანაც „ფაბრიკის გულშემატკივარმა“ დირექტორმა ყველანაირი სახსრები მოუსპო ამ ადამიანებს. გარდა ამისა, ოფიციალური დოკუმენტაციის დიდი ნაწილი და ბეჭედიც გააყოლა ხელს.

რაც შეეხება კომისიის შექმნის ფაქტს, განაცხადა ბ.ივანიშვილმა, არავითარი არჩევნები არ ჩატარებულა და მისი შექმნა ანდრიაძის ინიციატივა იყო, საფუძველი კი პირადი გადაწყვეტილება. ეს დოკუმენტი არსებობს. მისი ნახვა სიძნელეს არ წარმოადგენს.

კომისიის წევრებმა განაცხადეს, რომ მათ მიმართ ბ.ივანიშვილის მხრიდან არავითარ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მ.ანდრიაძეს, აი მას კი უყვარს ძალის პოზიციებიდან საკითხის გადაჭრა და საერთოდ ისე იქცეოდა, თითქოს ეს ფაბრიკა მისი საკუთარი მამული ყოფილიყო.

სურათის სიცხადისათვის ახეთი შემთხვევაც გაიხსენეს:

ერთხელ დირექტორს ფაბრიკაში თავისი შვიდი წლის ვაჟი მიუყვანია. ტერიტორიის დათვალიერების დროს ბავშვს უკითხავს: – მამა ეს ფაბრიკა ვისიაო?

– ვისია, შვილო და შენიო.

– აქ რო მუშები დადიან, ეგეც ჩემიაო?

მატიანემ არ შემოგვინახა, თუ რა უპასუხა შვილს მზრუნველმა მამამ (თუ ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს).

ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, ერთი მოსამართლე მომჩივანსაც რომ ამართლებდა და მოპასუხესაც, არ გვინდა ვინმემ ახლა უპოზიციობა დაგვწამოს, მაგრამ სასამართლოს ფუნქციები გაზეთმა არ უნდა აიღოს თავზე. და თუ ეს მაინც ხდება ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვისაც ეს ევალება, არ აკეთებს საქმეს დროულად და პრინციპულად. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო ხალხსაც აღარ სჯერა მართლმსაჯულებისა.

**პაატა მანჯგალაშვილი**

## სოციალისტები მსოფლიოს აზანზარებენ

„სოციალისტები მსოფლიოს აზანზარებენ, ჩვენ კი აქ ნაფტალინიანი კომუნისტების და წითელი ბოლშევიკების იარლიყებს გვაკრავენ“, – განაცხადა გუშინ ერთობლივ კონფერენციაზე შრომის პარტიის ლიდერმა გრიგოლ ონიანმა.

გუშინ საქართველოს სოციალისტურ პარტიაში გაერთიანდნენ საქართველოს შრომის პარტია და პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ქალები არჩევნებისათვის“, რამაც ძალზედ გაახარა შრომის პარტიის ლიდერი, გრიგოლ ონიანი.

მისი თქმით, – „ჩვენ არ გვინდა პროლეტარიატის დიქტატურა, მაგრამ არც დემოკრატიის დიქტატურა გვჭირდება. საქართველოში დამყარდა მოჩვენებითი დემოკრატია, კოსმოსური სისწრაფით მივექანებით სიბნელისაკენ, უწიგნურობისა და უბედურებისაკენ“.

„ფუტლიარის კაცუნები დემოკრატიის იავნანით აძინებენ და ალვიძებენ ქვეყანას და სოციალისტებს დრომოჭმულებს გვეძახიან, მაგრამ სალი პოლიტიკოსები აშკარად გვემხრობიან, რადგან ჩვენ კარგად ვიცით შრომისა და ბრძოლის მეთოდები“, – აღნიშნა გრიგოლ ონიანმა, რომელმაც თავისი გამოსვლა საკმაოდ ომახიანი შეძახილით დაასრულა: „საქართველოში კაპიტალიზმი ვერ იბოგინებს! „სოციალისტურ იდეებს მსოფლიოში სიკვდილი არ უწერია“.

სოციალისტების ლიდერის, ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, „სოციალისტები ვძლიერდებით, ცალ-ცალკე მოგვერევა საქართველოს დამაქცევარი, მაგრამ ერთად ვერას დაგვაკლებს“. (პრაიმ-ნიუსი)

## თბილისში უვარგისი საკვებით 169 კაცია დაავადებული

როგორც ვეტერინარული სამმართველოს უფროსის მოადგილემ ლევან რამიშვილმა ინფექციური პათოლოგიის ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით „პრემიერის“ კორესპონდენტს აცნობა, წლის დასაწყისიდან დღემდე რეგისტრირებულია თბილისის მოქალაქეთა კვებითი ტოქსიკოინფექციებით დაავადების 158, ბოტულიზმით დაავადების – 9, ცომბირის წყლულით დაავადების 2 შემთხვევა. მოწამლულთაგან 2 ადამიანი გარდაიცვალა. თითქმის ყველა შემთხვევაში დაავადება გამოწვეული იყო ვეტერინარულად შეუმოწმებელი პროდუქტების საკვებად მიღების შედეგად.

# სამართალი მკვდარი არ არის

*ქართველი კაცი სულ არ ჰგავს გერმანელს. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მისი მდგომარეობა, ვალები, წნევა, სიდედრის ხასიათი და სხვა ამგვარები, სასამართლო კი მხოლოდ ფაქტებით, დოკუმენტებით და კანონის ენით ლაპარაკობს. ეს გერმანელმა იცის. ალბათ, ჩვენც ვისწავლით ამას ოდესმე.*

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო წერილი სათაურით: „ვის შევჩივლო? რუსთაველი, სამართალი მკვდარია“. ჩვენ საშუალება მივეცით მეორე მხარესაც გამოეთქვა თავისი აზრი. საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ეკონომიკური დავების ზედამხედველობის კოლეგიის თავმჯდომარემ ტარიელ ზამბახიძემ ფაქტების ენაზე ამგვარი განმარტება მოგვცა: მხარეთა შორის დავა რამოდენიმეჯერ იყო განხილული. პირველი და მეორე ინსტანციით. სასამართლო სხდომებზე ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს №13 ტრესტის ინიციატივით დაინიშნა ექსპერტიზა, რომელიც ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს ექსპერტიზის კვლევითმა ცენტრმა, რომლის დასკვნითაც სადავო თანხა 66659 ლარი 12666 ლარამდე შემცირდა.



საქმეში არსებული მასალების შემდგომი განხილვა შეუძლებელი იყო და საარბიტრაჟო სასამართლოს სათანადო თანამდებობის პირს უნდა დაეწერა პროტესტი. ამიტომ მხარეებს მიეცა წინადადება ურთიერთმორიგებით გადაეწყვიტათ დავა და სასამართლო დაუკანონებდა მხარეთა შეთანხმების ერთობლივ საბუთს. დოკუმენტის შევსების დროს მხარეებმა იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეს მოსამართლეს, ვინაიდან მათ დამოუკიდებლად არ შეეძლოთ იურიდიული სახე მიეცათ დოკუმენტისათვის. ტ.ზამბახიძემ მათ მიუთითა მხოლოდ სამართლებრივი ფორმა და არა შინაარსი, ასე რომ, მისი კარნახით დოკუმენტის შედგენაზე ლაპარაკი ცოტა გაზვიადებულია და ფაქტების დამახინჯება უნდა იყოს.

**კობა კიკნაძე**

# მეანაბრეები «ბუნტით» იმუქრებიან

რედაქციამ მიიღო „გრანდის“ მეანაბრეთა განცხადება, რომელშიც ისინი სახელმწიფოს უმაღლეს პირებს შეახსენებენ ალბანეთის მოვლენებს და აღნიშნავენ, რომ იქ გადატრიალება გაკოტრებულ მეანაბრეთა ძალისხმევით მოხდა.

როგორც განცხადებიდან ირკვევა, „გრანდს“ ყოლია 1500 მეანაბრე და ისინი პირწმინდად მოტყუებული აღმოჩენილან, ისე როგორც ეს სხვა კომპანიათა მეანაბრეებს დაემართათ.

არცერთ ინსტანციას მათი თხოვნა ყურად არ უღია, დაეპატიმრებინათ მათი ქონების გამტაცებლები, რომელთა ადგილსამყოფელი, როგორც მეანაბრეები აღნიშნავენ, ცნობილია.

დაუბრუნდებათ თუ არა მათ ფული, რა თქმა უნდა, ეს ცნობილი არ არის, არც ის არის ცნობილი, აგებს თუ არა ვინმე პასუხს, ვინც ამ პატიოსან ხალხს „საბუნტაოდ“ გაუხადა საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვარდიკო ნადიბაიძე: თავდაცვის სამინისტროს შესწევს უნარი აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა



– „აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს შეუძლია აღკვეთოს ნებისმიერი პროვოკაცია კონფლიქტის ზონაში“. – განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ.

მისი თქმით, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები 31 ივლისის შემდეგ დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას, თავდაცვის სამინისტროს შესწევს უნარი აღადგინოს ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია. „თუმცა პოლიტიკოსების გადასაწყვეტია“, თუ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრომ – აღნიშნა ნადიბაიძემ.

„თავდაცვის სამინისტროსთვის ჯერჯერობით უცნობია როგორ განვითარდება 31 ივლისის შემდეგ მოვლენები, მაგრამ ჩვენი უწყება ყოველდღე საბრძოლო მზადყოფნაშია“ – დასძინა თავდაცვის მინისტრმა.

## ამერიკის დამოუკიდებლობის დღე აღნიშნა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე გუშინ „ალექსეევკას“ სამხედრო ბაზაზე ესტუმრა ქართველ და ამერიკელ ჯარისკაცებს.

ამერიკელ სამხედროებს, რომელთა ეროვნული გვარდიის ასეული ქართველ მესანგრეებს ნატოს პროგრამის, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში ამზადებს, მინისტრმა დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

შემდეგ, სტუმრები და მასპინძლები შესანიშნავ სუფრას მიუსხდნენ და ამერიკა-საქართველოს მეგობრობის სადღეგრძელო განსხვავებული სასმისებით შესვეს.

საქართველოში ამერიკის ელჩის მოადგილეს, ლორენს კერის კი, ალბათ, ვიეტნამის ომში გატარებული წლები ახსენდებოდა.

ამერიკელი ჯარისკაცები, საკუთარი ინიციატივით, წყნეთის ბავშვთა სახლის რეკონსტრუქციას აწარმოებენ. როგორც მოგვიანებით აღინიშნა, ისინი ბავშვთა მეორე საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებასაც გადასცემენ საჭირო მოწყობილობა-დანადგარებს.

ამერიკელი გვარდიელები სამშობლოში აგვისტოს ბოლოს გაემგზავრებიან. (პრაიმ-ნიუსი)

## იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

### ბინები

იყიდება რუსთაველზე პრივატიზებული 1 ოთახიანი ბინა 14 კვ.მ, სამზარეულო საერთოა ერთ მეზობელთან ერთად. არის საშუალება აბაზანის გაკეთების. აქვს ღია აივანი. საწყისი ფასი 4500$ ტელ. 72-47-48 ალიკა ან ნატაშა

იყიდება 2 ოთახიანი ბინა მუხიანის I მკრ-ში 17 სართულიანი სახლის მე-16 სართულზე. ფასი 4000$ ტელ. 96-25-70 იკითხეთ გოგი

იყიდება კერძო ბინა მეტრო „სამგორთან“ 52 კვ.მ ტელ. 74-59-95 მერი

იყიდება ან იცვლება საბურთალოდან ინდივიდუალური პროექტის 5 ოთახიანი ბინა 2 ოთახიანზე ისევ საბურთალოზე. იოსებიძის 51ბ. ბინა 27. ტელ. 38-76-15

იყიდება 3 ოთახიანი კუთხის სუფთა ბინა. ლოჯით, რკინის კარით, ტელეფონით. მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ. 73-04-23; 71-01-22

იყიდება ერთოთახიანი ბინა იტალიურ ეზოში. საერთო სამზარეულოთი და სველი წერტილებით. ფასი 4000 ლარი. ტელ. 96-09-35

იყიდება ჩეხური პროექტის 2 ოთახიანი სუფთა ბინა ბელეტაჟზე, სარდაფით, ავეჯით, ცენტრალური ბუნებრივი გაზმომარაგებით. დიღმის მასივის II კვარტალი, მე-12 კორპუსი II სადარბაზო, ბინა 26. ტელ. 39-13-69

იყიდება 3 ოთახიანი ბინა დიდ დიღომში, III მკრ-ში, თუხარელის პროექტი. უკარფანჯრებო. საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ. 95-30-47

იყიდება ოროთახიანი ბინა (24 კვ.მ. + 25 კვ.მ) დიდი შუშაბანდით, ტელეფონით, ცხელი წყლით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. თოიძის 52. ტელ. 95-96-66 ფასი 14000$ მიშა, ბელა და სვეტა

იყიდება ვაკეში არაყიშვილის ქუჩაზე I სართული ნახევრად სარდაფი. 4 ოთახი. II სართულზე 4 ოთახი 100 კვ.მ ყველა სათავსოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-24-49

იყიდება ხეხილიანი მიწის ნაკვეთი 300 კვ.მ ფართი ორთაჭალგესთან. ყოფილ ფილიპე მახარაძის ბაღში. შესაძლებელია ბინის ჩადგმაც. ტელ. 38-50-76 როზა

იყიდება პრივატიზებული 6 ოთახიანი ბინა საბურთალოს ბაზართან ახლოს, ორსართულიანი კერძო სახლის I სართულზე. ტელეფონით, გარაჟით, ყველა სათავსოთი და სარდაფით. ფასი 50000$ ტელ. 38-34-53 დავითი ან სულიკო

### ქირავდება

ქირავდება კერძო სახლი 2 ოთახიანი ლოჯით, სარდაფით, ავეჯით, საკუთარი ეზოთი, მანქანის სადგომით, ეზოში ფუნქციონირებადი ჯიხურით ტელ. 99-37-68

ქირავდება 1 ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე წინამძღვრიშვილის 44-ში. საწყისი ფასი 100 ლარი. 5 თვის წინასწარი გადახდით ტელ.95-30-47

ქირავდება აგარაკი წყნეთში თამარ მეფის (ყოფ.კეცხოველის ქ) ქუჩაზე. ტელ. 99-59-71 ლალი

ვაქირავებ ბინას 2 სართულიანის I სართულს. სამზარეულო, აბაზანა, საპირფარეშო შიგნით მდებარეობს. ავეჯით. 2 ოთახი. ფასი შეთანხმებით ტელ. 38-50-76

### სხვადასხვა

უნივერსიტეტის დოცენტი ამზადებს ნებისმიერ მსურველს 14 წლის ზევით ინგლისურ ენაში. ბინაზე ან სამსახურში მისვლით. ტელ. 63-67-34

ბინაზე მისვლით შეღავათიან ფასებში მანიკურისა და პედიკურის გამოცდილი სპეციალისტი გთავაზობთ მომსახურეობას. ტელ. 99-61-74

ვიყიდი ან შევიძენ რუსეთის ოლიფას დიდი რაოდენობით შეღავათიან ფასებში. ტელ. 35-15-88 საღამოს; 37-35-90 საღამოს

იყიდება ღვინის და არყის ბოთლების ჩაჩები. ტელ. 38-76-15

იყიდება ახალი არაბული სამეული. ფასი 900 დოლარი. ტელ. 95-87-11; 61-25-48

იყიდება რუმინული საძინებელი „დე-10“ ფასი შეთანხმებით

იყიდება გერმანული როიალი „ბლუტნერი“. ტელ. 96-09-35

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართულზე, 5 ოთახიანი ბინა ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

სასწრაფოდ იყიდება 2 სართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებული ნათელი კუთხის ბინა აგარაკი მიშენების პერსპექტივით. ბინის საერთო ფართი 45 კვ.მ ტელეფონით, ავტოსადგომით. ფასი 8700$ ტელ. 29-86-55 ან 73-78-90

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს 93-18-41

## ირინა სარიშვილი-ჭანტურია: ბერეზოვსკის მისიას საფუძვლად უდევს სანავთობო ინტერესები



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიაჩნია, რომ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, ბორის ბერეზოვსკის მისიას „საფუძვლად უდევს სანავთობო ინტერესები“.

როგორც სარიშვილი-ჭანტურიამ სააგენტო ინტერფაქსს განუცხადა ინტერვიუში, თბილისში გამართული სამდღიანი მოლაპარაკებები „პოპულისტური შირმა“ იყო, რომლის მიღმაც მიმდინარეობდა „სერიოზული მოლაპარაკებები აზერბაიჯანსა და ყაზახეთის ნავთობის ტრანსპორტირებაზე, შესაძლოა აფხაზეთის გავლითაც“.

სარიშვილი-ჭანტურია თვლის, რომ ბერეზოვსკი სწორედ ნავთობის არგუმენტის გამოყენებას შეეცადა „სეპარატისტების სასტიკი წინააღმდეგობის მოსადრეკად“ და სურდა დაერწმუნებინა ისინი, შესულიყვნენ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, „უფართოესი ავტონომიის უფლებით“.

„სერიოზული არ იქნება საქართველოში ბერეზოვსკის ვიზიტის იმ ასპექტში განხილვა, რომ რუსეთი გულწრფელად ცდილობს აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტას“, – ამბობს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. ბერეზოვსკის ძალისხმევა, იპოვოს კომპრომისული ფორმულა, რომელიც კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, სარიშვილი-ჭანტურიამ შეაფასა, როგორც კერძო პირის ინტერესები და კერძო ინიციატივა.

ბერეზოვსკიმ, რომელიც თბილისში სამშაბათს ჩამოვიდა და სამი დღის მანძილზე გამუდმებულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა საქართველოს ხელმძღვანელობასთან და აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობასთან, ვერავითარ საგრძნობ შედეგს ვერ მიაღწია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელთა მანდატი 31 ივლისს იწურება, ნამდვილად დატოვებენ აფხაზეთს, რუსეთი ყველაფერს იღონებს იმისთვის, რათა მისი პროგნოზები გამართლდეს და აფხაზეთში განახლდეს საომარი მოქმედებები. „საგულისხმოა, რომ ამას თავად საქართველოს ხელით გააკეთებენ“, – დასძინა სედპ-ს ლიდერმა. (პრაიმ-ნიუსი)

## მიხეილ ქურდაძის ოჯახმა უარი განაცხადა

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საქართველოს პროკურატურის მიხეილ ქურდაძის სახელობის ფონდის მეორე ყრილობა. დღის წესრიგში იყო ფონდის თავმჯდომარის გია არსენიშვილის საანგარიშო მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენება და ფონდისათვის სახელის შეცვლის საკითხი.

აღინიშნა, რომ მ.ქურდაძის ფონდი 1995 წლიდან არსებობს. იგი საქველმოქმედოა. ფონდმა ამ ხნის განმავლობაში პროკურატურის 250 თანამშრომელს გაუწია მატერიალური დახმარება საერთო თანხით 45 ათასი ლარი. 9 ათასი ლარი დაიხარჯა დაცვის თანამშრომლების ფორმების შესაძენად.

ყრილობაზე დაისვა ფონდისათვის სახელის შეცვლის საკითხი. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მ.ქურდაძის მკვლელობასთან დაკავშირებული გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და გამომდინარე აქედან, მ.ქურდაძის ოჯახის წევრები უარს აცხადებენ, რომ ფონდი მის სახელს ატარებდეს.

ყრილობამ ფონდის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. ხმათა უმრავლესობით ფონდს გადაერქვა სახელი და მას დღეიდან მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება – საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა ფონდი ეწოდება. (იფრინდა)

## პენსიონერებს პირდებიან

ᲒᲣᲨᲘᲜ შრომისა და დასაქმების სამინისტროში, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ოთარ ხუფენიამ პრეს-კონფერენცია გამართა.

როგორც ო.ხუფენიამ განაცხადა, დღეისათვის საქართველოში 925 ათასი პენსიონერია. მათ რიცხვში არ შედიან ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერები. მისი თქმით, თბილისში პენსიების გაცემასთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება 4-5 თვის წინანდელი მდგომარეობისაგან და ამჟამად დედაქალაქში ყველა პენსიონერი დროულად იღებს კუთვნილ 9.8 ლარს. ამ თანხიდან 1,3 ლარი „საქენერგო“-ში იგზავნება. მისივე თქმით, 925 ათასი პენსიონერის პენსიით უზრუნველყოფა ყოველთვიურად დაახლოებით 9 მლნ. ლარი ჯდება.

ივნისის თვის სოც.დაზღვევის ბიუჯეტი რესპუბლიკის მასშტაბით 108%-ით შესრულდა. სამინისტრომ და ფონდმა ერთობლივად შეიმუშავეს ორი კანონპროექტი, რომლებიც შესაძლებელს გახდის მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის დარეგულირებას. ო.ხუფენიას თქმით, სექტემბრისათვის საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აღმოიფხვრება პენსიებისა და სოც.უზრუნველყოფის დავალიანების სინდრომი და მოსახლეობა დროულად მიიღებს კუთვნილ თანხებს. (იფრინდა)

# ლატარეა ყველასათვის

**4 ივლისს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:**

| | |
|---|---|
| 5000 ლარი - 251484; | 80 ლარი - *00309; |
| 1000 ლარი - 150778; | 70 ლარი - *48902; |
| 900 ლარი - 354189; | 60 ლარი - *68103; |
| 800 ლარი - 500714; | 50 ლარი - *88038; |
| 700 ლარი - 260118; | 40 ლარი - *59834; |
| 600 ლარი - 333832; | 30 ლარი - *42422; |
| 500 ლარი - 359454; | 25 ლარი - **2454; |
| 400 ლარი - 156038; | 20 ლარი - **8072; |
| 300 ლარი - 199894; | 10 ლარი - ***054; |
| 200 ლარი - 119369; | 10 ლარი - ***030; |
| 100 ლარი - 373189; | 10 ლარი - ***012; |
| 100 ლარი - 220481; | 1 ლარი - ***778; |
| 100 ლარი - 317031; | 1 ლარი - ***484; |
| 100 ლარი - 313905; | 1 ბილეთი - *****4; |
| 100 ლარი - 228581; | 1 ბილეთი - *****5. |
| 90 ლარი - *16496; | |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

ოცდამეხუთე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან - 14 სთ-მდე

- 25 ლარი 50 ლარი - შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის **XXVI** ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **1674; 9484;** გათამაშებაზე შეუძლიათ 11 ივლისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **„MERSEDES“** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№415623.**

● *წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“*

# ჩეკისტური მეთოდები და პოლიტიკური სამძებრო

## ფილიპ ბობკოვი

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 1967 წელს, როდესაც უშიშროების ორგანოებში თავმჯდომარის თანამდებობაზე მოვიდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ეს ამბავი სამსახურისკენ გზად მიმავალმა გავიგე. გავშალე გაზეთი და პირველ გვერდზე მისი დანიშვნის შესახებ ცნობა, ხოლო ბოლო გვერდზე - ვ.ე.სემიჩასტნის განთავისუფლების შესახებ.

ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული დავრჩი, რადგან ანდროპოვს კარგად არ ვიცნობდი. იშვიათად მიხდებოდა მასთან ურთიერთობა.

უშიშროებაში იმ დროს რთული და დაძაბული მდგომარეობა იყო. იგი განისაზღვრებოდა არა სამსახურებრივი პრობლემებით, ან ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, არამედ ხელმძღვანელ მუშაკთა სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის უთანხმოების მიხედვით. მე პირველად ვიგრძენი, თუ რაოდენ საშიშია კარიერიზმი და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ძირითადი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ყოფილი პარტიული მუშაკები, რომლებიც უშიშროებაში მოვიდნენ 1951 წელს, აბაკუმოვის დაპატიმრების შემდეგ. მათ შემდგომში მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავეს. ათიოდე წლის შემდეგ თავის თავს ისინი პროფესიონალ ჩეკისტებად თვლიდნენ და წამყვან პოზიციებზე აცხადებდნენ პრეტენზიას. მათ არ მოსწონდათ ახალი კადრების მოსვლა უშიშროებაში, რომელთაც შელეპინმა და სემიჩასტნიმ გაუხსნეს გზა. „მოხუცებს“ არ უნდოდათ პოზიციების დათმობა. გარკვეულწილად სწორედ ამან გადაწყვიტა სემიჩასტნის ბედი.

უჭირდათ პროფესიონალ მუშაკებს. მათ მიმართ უნდობლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. არადა, ოპერატიული სამუშაოს მთელი სიმძიმე მათ მხრებზე გადადიოდა. როგორააწყობს საქმეს ახალი თავმჯდომარე? ი.ვ.ანდროპოვის მოსვლისთანავე წინა პლანზე ყოფილი პარტიული მუშაკები გამოვიდნენ. ისინი ცდილობდნენ ახალი თავმჯდომარის ნდობა მოეპოვებინათ, მის მომხრეებად გაესაღებინათ თავი. სინამდვილეში, მათი უმრავლესობა საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდა.

სუკ-ის სისტემაში, იმ დროს, არსებობდა სამი ძირითადი ოპერატიული სტრუქტურული ქვეგანყოფილება: დაზვერვა, კონტრდაზვერვა და სამხედრო კონტრდაზვერვა. კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობამ სულ ცოტა ხნის წინათ მძიმე დარტყმა განიცადა - კონტრდაზვერვის თანამშრომელი ნოსენკო წავიდა საზღვარგარეთ მივლინებაში. იგი დარჩა შვეციაში. ანდროპოვის დანიშვნის მომენტისათვის კოლექტივი მეგობრულად შრომობდა გამოცდილი უფროსის ს.გ. ბანნიკოვის ხელმძღვანელობით. მისი ხელმძღვანელობა, ერთის გამოკლებით, კარგად მომზადებული პროფესიონალები იყვნენ. პირველ რიგში საჭირო იყო ოპერატიული მუშაობის არქაული მეთოდებისაგან განთავისუფლება, ანალიტიკური სამსახურის გაძლიერება, კონტრდაზვერვის სისტემის ორგანიზაციის ახალი პრინციპების შემუშავება. ყველა არ იყო ახალი მიმართულებების მომხრე, თუმცა, ენთუზიასტები მაინც გამოჩნდნენ.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-66.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# სამედიცინოში მიღება შეზღუდული იქნება

„წელს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებს ლიმიტები აქვთ დადგენილი სტუდენტების მიღებაზე“, - განაცხადა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ სემინარზე სახელმწიფო კანცელარიაში, რომელიც სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში განათლების სისტემის საკითხებს მიეძღვნა.

განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების საგანგებო კომისიის მიერ წლის პირველ ნახევარში ჩატარებული ატესტაციის შედეგების მიხედვით, 44 უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს დაუტოვეს სტუდენტების მიღების უფლება, 32-ს სხვებთან გაერთიანება ურჩიეს, 9 სასწავლო დაწესებულებას კი ატესტაცია გადაუდეს.

საერთო ლიმიტი, სტუდენტების მისაღებად, 1700 აბიტურიენტით განისაზღვრა. აქედან, 600 ადგილი სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე მოდის.

განათლების მინისტრის, თამაზ კვაჭანტირაძის თქმით, „ატესტაცია არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც კომერციული უმაღლესი სასწავლებლების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი“.

ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ჯანდაცვის სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, საქართველოს ყოველწლიურად 300-400 ექიმი სჭირდება. დღევანდლამდე, უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებში ირიცხებოდა 3780 სტუდენტი. ყოველ 100 ათას მაცხოვრებელზე საქართველოში 65,1 სტუდენტი-მედიკოსი მოდის, აშშ-ში კი - 6,4. (პრაიმ-ნიუსი)

● *უცხოეთი*

## ელცინი თანახმაა

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა განაცხადა, რომ იგი ეთანხმება ვაშინგტონს და პარიზს ძალისხმევის გაძლიერებაზე სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის დავის გადაწყვეტის თაობაზე. მისივე განცხადებით, იგი პრეზიდენტ ბილ კლინტონთან და პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან ერთად იმუშავებს სამშვიდობო მოლაპარაკების ორგანიზებაზე.

## მაინც რამდენი დაიღვარა?

იაპონიის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ტოკიოს ყურეში დაღვრილი ნავთობის რაოდენობის შესახებ ადრინდელ ცნობაში მოცემული რიცხვი გადაჭარბებულია. 13 ათასი ტონა ნავთობის ნაცვლად დაახლოებით ათას სამასი ტონაა დაღვრილი.

## ემზადებიან მარსზე დასაჯდომად

ამერიკული სააგენტო „ნასა“ საბოლოო მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს ავტომატური ზონდის „პეფაინდერ“ მარსზე დასაჯდომად. ბოლო 21 წლის განმავლობაში იგი პირველი დაჯდება მარსზე. ხომალდზე იმყოფება მარსახოდი, რომელიც დაჯდომის შემდეგ ავტომატურად დაიწყებს გამოკვლევებს.

## შიდსის ახალი წამალი

ფრანგმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ შიდსის ახალი წამალი, რომელიც სამი კოქტეილისგან შედგება, არა მარტო ანელებს პროცესის მიმდინარეობას, არამედ აღადგენს ორგანიზმში იმუნიტეტის უნარს.

# კროსვორდი

თარაზულად: 5. თავის მოსაკვეთი ვარდნილი ნაჯახი; 7. თელებიანი მომცრო საზიდარი; 8. რაიმე აზრი; 9. რაიმე საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული; 10. ყვავილი; 11. მწვერვალი, საპატიო ადგილი; 12. იტალიელი ფეხბურთელი; 13. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი დაღესტანში (ძველად); 15. მდ.აფხაზეთში; 17. პირდიდი და ფრთამაღალი ისარი; 19. უსაქმოდ მოხეტიალე მოხულიგნო ახალგაზრდა; 21. სახელმწიფო ამიერკავკასიაში; 22. ყვავილი; 23. ერთ-ერთი ასო ბერძნული ანბანიდან; 24. უმცროსი სამედ.თანამშრომელი; 25. მატყლის საპენტი ჯოხი; 26. ნარნარად ფრენა; 27. სახელმწიფო სამხ.ალმ. აზიაში; 29. სხეულის გარეგანი საფარველი; 30. ნაცია; 31. ძველებური თოფი; 32. ხრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად; 35. მხარე ისტორიულ ქვემო ქართლში; 39. ქალის თმის ხვეულა; 41. ეგვიპტის დედოფალი; 42. ნაზი, სათუთი; 43. ქუთაისის ძველი სახელწოდება; 44. გარიყრაყი, ალიონი.

შვეულად: 1. ძველბერძნულ მითოლოგიაში არგოსის და შემდეგ მიკენის მეფე; 2. ტაძარი საქართველოში; 3. ნავსადგურის მტვირთავი მუშა; 4. მევალისათვის ვალის უზრუნველსაყოფად ჩაბარებული ნივთი; 6. ეთიოპიის დედაქალაქი; 14. ერთ-ერთი სიმბოლისტი რუს პოეტებს შორის, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი; 16. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წესი; 18. კარგად მოწყობილი სასადილო; 19. მკვიდრი მოსახლე; 20. ტყუილუბრალოდ; 22. სასაცილო თოჯინა ტელესერიალიდან; 27. კურორტი, ქალაქი საქართველოში; 28. მსაჯი, ანუ.. 31. კინო ანუ.. 33. უდიდესი; 34. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 36. კვარცის ნაირსახეობა; 37. გამოუწვავი აგური; 38. ძველებური უკრაინული სიმებიანი საკრავი; 40. ქირის გარეშე მომუშავე გლეხი ყანაში.

**შალვა ჯიბლაძე**



## წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 1. ადლი; 2. ბეცი; 3. ჟონგლიორი; 4. ოჩოპინტრე; 5. მადერა; 6. ლაგუნა; 7. ისლი; 8. აბგა; 9. ტოცონი; 10. იანიჩარი; 11.; იუსტიცია; 12. რეიმსი; 13. ომნიბუსი; 15. მურყვამი; 16. მატყლი; 17. სქოლიო; 18. კლასიკა; 19. მოლიერი; 20. ნორვეგია; 21. ალტამირა; 22. ზარზმა; 23. კვადრიგა; 24. მელქიორი; 25. მექისე; 26. ანატომია; 27. მანდოლინა; 28. აგენტი; 29. კარნავალი;30. დალი; 31. ალიზი; 32. გრემი; 33. ორბი; 34. ხამბაზი; 35. ჯვარი; 36. ნაიბი; 37. ქანანი; 38. გოლკი; 39. იკორთა; 40. აქატი; 41. უნიათო; 42. მაპუტუ; 43. ბილონი; 44. ნანდუ; 45. რუპია; 46. რანია.

შვეულად: 1. იბადანი; 2. ბოდლერი; 3. ოკეანოლოგია; 4. იზმირი; 5. ტაია; 6. ანცი; 7. პეგასი; 8. რარეულიშვილი; 9. აკუტაგავა; 10. რემბო; 11. უნცია; 12. იზოლატორი; 13. აბაზილი; 14. ერკერი; 15. რონდო; 16. იორლა; 17. უგინდა; 18. მეტისი; 19. რენუარი; 20. დიადემა; 21. ორვეზი; 22. ინტილიო; 23. მოდილიანი; 24. აკვიტანი; 25. ზაირი; 26. რენტა; 27. იზიმუტი; 28. ტარხუნა; 29. ალონაკი; 30. ქიტონი; 31. რინა; 32. ათენა; 33. კაკაო; 34. ბუდა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444